

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ბეჟან ჟავახია

რეინდობა შუა საუკუნეების
ევროპაში

მეომრის ბიბლიოთეკა №18

თბილისი
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეთვრამეტე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია: ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **თამაზ ბერაძე**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ნინო გიგანი**
ყდის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**
ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**


დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83



ჯვაროსანი რაინდი, მათე პარიზელის ქრონიკიდან, მინიატურა

რაინლობის წარმოშობა

ევროპაში წარჩინებულთა წრიდან წარმოიშვა რაინდთა წოდება. რაინდი წარმოადგენდა კეთილშობილ მეომართა საზოგადოებას, რომლისთვისაც უპირველესი იყო ღვთის სამსახური და ღირსების დაცვა. რაინდი – ეს იყო შეიარაღებული მხედარი, წარჩინებული წარმოშობის, ან წარჩინებულის სამსახურში მყოფი.

სიტყვა *რაინდი* დღესაც ჟღერს ჩვენს სინამდვილეში და ის კეთილშობილ და მამაც ადამიანს აღნიშნავს. დღემდე ევროპის ქვეყნებში ადამიანები დიდი პატივით ატარებენ რაინდის წოდებას. დიდი ბრიტანეთის მონარქი რაინდის წოდებას ანიჭებს საზოგადოებრივ ასპარეზზე განსაკუთრებული წარმატებებისათვის და ეს ერთ-ერთ უდიდეს პატივად ითვლება ამ ქვეყანაში.

რაინდებს ჰქონდათ თავიანთი იდეალი – კეთილშობილი მებრძოლი უნდა დახმარებოდა სუსტსა და ღარიბებს, ყოფილიყო სიტყვის პატრონი, მამაცი და უშიშარი, თავისი სენიორის ერთგული, დახმარებოდა ეკლესიას. რაინდობა იყო ცხოვრების ფორმა, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა სამი ძირითადი კომპონენტი – რელიგიური, სოციალური (არისტოკრატიული) და საბრძოლო.

რაინდობა გავრცელებული იყო მთელს ევროპაში, ასევე მის გარეთ.

ავტორთა დიდი ნაწილი რაინდობის წარმოშობას XI საუკუნეში ვარაუდობდა, თუმცა დღეისათვის სადავო არაა, რომ რაინდის იდეალი უფრო ადრე გაჩნდა.

რადგან რაინდი, უპირველეს ყოვლისა, იყო მებრძოლი მხედარი, მისი საფუძვლები უფრო ადრეულ ხანაში უნდა ვეძებოთ. მხედრის აღმნიშვნელი ტერმინები გვხვდება ანტიკურ ხანაშიც, ძველ ბერძნულ და ლათინურ წყაროებში, თუმცა ორივე შემთხვევაში ეს ტერმინები არ აღნიშნავდნენ

რაინდებს, როგორც მებრძოლთა ფენას, არამედ უფრო ერთ-ერთი სამომსახურეო სოციალური ფენის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა.

რაც შეეხება მებრძოლთა ფენას და ბრძოლისადმი განსაკუთრებულ ინტერესს, ეს კარგად ჩანს ევროპის უძველესი მოსახლეობის მითებსა და ლეგენდებში, რომელთა ავტორთა ცნობებში ძველი გერმანელების შესახებ. ძველი გერმანელების წარმართულ წარმოდგენებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ომის ღმერთს ვოდინს. ბრძოლა მათი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზი იყო, თუმცა ამ ხალხებში მებრძოლთა სოციალურ ფენაზე საუბარი ნაადრევი იქნებოდა.

რამდენადაც რაინდობა ფეოდალური საზოგადოების წარმონაქმნია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ საფუძვლების მოძებნა, თუ როგორ ყალიბდებოდა მებრძოლთა ინსტიტუტი, როგორც წოდება შუა საუკუნეების საზოგადოებაში, სადაც მთავარი იდეოლოგია ქრისტიანობა იყო.

ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, რაინდთა ინსტიტუტის წარმოშობას საფუძველი ჩაეყარა ხალხთა დიდი გადასახლების ხანაში, როდესაც ქრისტიანული რომი იძულებული იყო ბარბაროსებს გამკლავებოდა.

საერთოდ, ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლაში თანთაღან ყალიბდება სამხედრო ქრისტიანული მსოფლმხედველობა; პირველი ქრისტიანები თავდაპირველად, უარს ამბობდნენ ბრძოლაში მონაწილეობაზე, ქრისტიანი ავტორები კი კიცხავდნენ კიდევ ქრისტიანებს ომში მონაწილეობისათვის. ღვთის სამსახურში ყოფნა ავალდებულებს მორწმუნე ადამიანს, ემსახუროს ღმერთს, ისე როგორც ჯარისკაცი ემსახურება სახელმწიფოს. ამდენად, ქრისტიანი ხდება ღვთის ჯარისკაცი (მილეს ეი), რომელიც, განსხვავებით სხვა ჯარისკაცებისაგან, არ იბრძვის. მოგვიანებით, ასეთი სახელით – „მილიტეს დეი“ და „მილიტეს ქრისტი“ – მოიხსნიებიან სამხედრო სასულიერო ორდენის წევრები.

დასავლეთის ღვთისმეტყველთაგან ერთ-ერთი პირველი, ვის შრომებშიც ჩნდება სამართლიანი ომის – სარწმუნეობისა და ღმერთისათვის ბრძოლის თეორია, ნეტარი ავგუსტინეა. თავის თხზულებაში „ღვთის ქალაქის შესახებ“ ნეტარი ავგუსტინე წუხს ომის არსებობის გამო და აღნიშნავს, რომ მას, ვისაც შეუძლია მიიღოს ომი სულიერი ტკივილის გარეშე, დაკარგული აქვს ადამიანური გრძნობები. ამავე დროს, ის ხაზგასმით მიუთითებს: ვინც მტერს კლავს, ის არის კანონის მსახური, რომელიც ძალადობას ძალითვე პასუხობს. ამ დროიდან (ახ. წ. V ს.), ნეტარი ავგუსტინეს მიერ ჩამოყალიბებული თეორიის შესაბამისად, ყალიბდება კონცეფცია – ომი შეიძლება იყოს სამართლიანი და ქრისტიანებს ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეუძლიათ მასში მონაწილეობა. ასე რომ, თუ ქრისტიანები თავდაპირველად თვლიდნენ, რომ უნდა ყოფილიყვნენ მორჩილნი და „არამოძალადენი“, ნეტარი ავგუსტინეს მიერ წამოყენებული თეორია გახდა საფუძველი იმ იდეოლოგიისა, რომლის მიხედვითაც, ქრისტიანებში ფუნქციები გაიყო. ერთნი იბრძვიან დემონებისა და ბოროტების წინააღმდეგ ლოცვით, მაშინ როდესაც დანარჩენი იბრძვის ბარბაროსების წინააღმდეგ იარაღით.

თუ რაინდობას განვიხილავთ, როგორც ჩვეულებას, რომლის თანახმადაც სამხედრო სამსახურში მყოფი ახალგაზრდები იღებდნენ იარაღის ტარების უფლებას, მაშინ ეს კარლოს დიდის ეპოქას ან კიდევ უფრო ადრინდელ ხანას უნდა მივაკუთვნოთ. კარლოს დიდმა თავისი ვაჟი ლუი გამოიწვია აქვიტანიიდან* და საზეიმოდ შემოარტყა მას ხმალი. მაგრამ თუ რაინდობას განვიხილავთ, როგორც წოდებას, რომელსაც პირველი ადგილი ეკავა სამხედრო ფენაში და რომელიც მას ეძლეოდა ინვესტიტურის* საშუალებით, რომელსაც თან ახლდა რელიგიური და სამხედრო რიტუალი და საზეიმო ფიცი, მაშინ ასეთი სახით ის წარმოიშვა არა უადრეს XI საუკუნისა.

XI საუკუნის დამდეგს ლიონის* ეპისკოპოსი ადალბერონი წერდა: ღვთის სახლი სამ ნაწილად იყოფა. ერთნი ლოცულობენ, მეორენი იბრძვიან და მესამენი მუშაობენ. ეს სამი ერთად მცხოვრები ფენები არ უნდა იყვნენ გათიშულნი. ერთი მათგანის საქმიანობა არის პირობა დანარჩენი ორის მოღვაწეობისათვის.

ნეტარი ავეუსტინეს მოძღვრება, მოგვიანებით ომთან დამოკიდებულების შესახებ, გახდა საფუძველი, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა კლუნიური* იდეების დამკვიდრების შემდეგ. თუმცა უფრო ადრე, ჯერ კიდევ VIII საუკუნის საისტორიო წყაროებში აშკარაა მინიშნება წმინდა ომის შესახებ, ეს ეხება განსაკუთრებით ევროპელთა ბრძოლებს არაბების წინააღმდეგ. ადრე შუა საუკუნეებში მკვიდრდება მხედართა მფარველი ანგელოზებისა და წმინდანთა კულტი. VIII საუკუნის დამდეგიდან ბარბაროსთა ახალი ტალღის საშიშროებამ ევროპაში გამოიწვია სამხედრო თემატიკის უფრო ღრმად გააზრება. ქრისტიანული ომი და ქრისტიანი მემომარი მოწოდებული იყვნენ რჯულის შესანარჩუნებლად. ამ პერიოდშივე ჩნდება გარკვეული სხვაობა – ერთი მხრივ, ქრისტიანებს შორის წარმოებულ ომებსა და, მეორე მხრივ, ქრისტიანებსა და სხვა რჯულის მეომრებს შორის წარმოებულ ბრძოლებს შორის. ცოდვა, ჩადენილი ძმათა შორის ომში, გამოისყიდება ეგრეთწოდებულ საღვთო ომში. სწორედ ამის შესახებ წერდა პაპი სტეფან II 753 წელს, როდესაც ფრანკებს მოუწოდებდა არაბების წინააღმდეგ საბრძოლველად: „ცოდვები თქვენი მიტევებული იქნება, თუ შეიარაღებული ბრძოლით დაიცავთ საღვთო ეკლესიას, ამისათვის თქვენ მოიპოვებთ სამუდამო სიცოცხლეს“. ამ აზრს ავითარებდა შემდგომში პაპი ლეო IV: „ყველა ომში დაღუპულის წინაშე გაიხსნება სამოთხის კარი. თქვენ გასცემთ სიცოცხლეს ჭეშმარიტი რწმენისათვის. ეს იცის ღმერთმა და მოგიზღვავეთ სიკეთით სიკეთისათვის“.

თანდათან მკვიდრდება მეომართა მფარველი ანგელოზების კულტი. მთავარანგელოზ მიქაელის მნიშვნელობა იზრდება. მას, შეიძლება, მთავარი ზეციური მეომარიც კი ვუწოდოთ. მიქაელ მთავარანგელოზი – ისრაელისა და ბიზანტიის მფარველი – ოტონების* მფარველადაც იქცევა. უნდა აღინიშნოს, რომ რაინდული ეპოქის მწვერვალზე ჩამოყალიბდა რაინდთა მფარველი დიდი სამეული – ღვთისა მარიამ ღვთისმშობელი, მთავარანგელოზი მიქაელი და წმიდა გიორგი კაპადოკიელი.

ომისადმი დამოკიდებულების ახლებური ქრისტიანული მოტივი წარმოდგენილია 796 წელს კარლოს დიდის მიერ პაპ ლეო III-დმი გაგზავნილ წერილში, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული ფრანკთა მეფის პოზიცია პაპების მიმართ და, ასევე, ფრანკთა სახელმწიფოს იდეოლოგია ომთან დაკავშირებით: „ჩვენი ამოცანაა, ღვთის შემწევობით დავიცვათ იარაღით წმინდა ეკლესია ყველგან წარმართთა თავდასხმისაგან და გარედან ურწმუნოთა აოხრებისაგან, კათოლიკური რწმენის აღიარებით განვმტკიცდეთ. ჩვენი მოვალეობა საპირისპიროა, როცა მოსე აღმართული ხელებით ლოცულობდა ისრაელთა გამარჯვებისათვის, თქვენც ილოცეთ და ლოცვით შეგვეწიეთ ბრძოლაში. თქვენი ლოცვითა და უფლის წინამძღოლობით და ქრისტიანი ხალხის შემწევობით, ქრისტეს სახელით, ყველგან მოვიპოვებთ გამარჯვებას და ჩვენი ღმერთის ქრისტეს სახელი გაბრწყინდება მთელს მსოფლიოში“.

აზრი იმის შესახებ, რომ რაინდი ქრისტიანი მეომარია, აშკარად ჩანს შუა საუკუნეების ერთ-ერთ რიტუალში, როცა „რაინდები ფსალმუნის კითხვისას ქარქაშიდან იღებდნენ ხმალს და ეჭირათ ლოცვის ბოლომდე. ეს, თითქოს, ნიშნავდა საღვთო სიტყვისა და წერილების, ე. ი. რჯულის დაცვას. შუა საუკუნეები ღრმა რწმენის პერიოდია, როდესაც ადამიანს არ სტანჯავს ეჭვები და ფილოსოფიური კითხვები. მას სამყარო წარმოუდგენია ფართო თეატრად, სადაც ცრემლებითა და სინარულით აღსავსე დრამები თამაშდება, ამ დრამის მთავარი მოქმედი გმირები კი იღვწიან და ცხოველქმედებენ მიწაზე, სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის, ღვთიური პიროვნებები კი – ანგელოზები და წმინდანები – ეხმარებიან კაცობრიობას სატანის ბნელი ლეგიონების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაინდის ინსტიტუტის მნიშვნელობის ზრდაში ეკლესიის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს ლიტურგიკული ტექსტები, სადაც შუა საუკუნეებიდან არსებობს ლოცვები და კურთხევები ომის წარმოებასთან დაკავშირებით. X საუკუნის წირვების წიგნში გვხვდება სპეციალური ლოცვები და კურთხევები დროშებისა, რომელებიც მიჰქონდათ წარმართთა წინააღმდეგ ბრძოლებში. გერმანიის მეფეებს წარმართთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჰქონათ დროშები, რომლებზეც გამოსახული იყო წმინდანები. გერმანელ მეფეებს ჰაინრიხ ფრინველმჭერსა* და ოტო I-ს* ბრძოლაში უნგრელების წინააღმდეგ წამდგარებული ჰქონდათ დროშა მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულებით, ამიტომაც, გერმანელთა დიდ გამარჯვებას უნგრელებზე 955 წელს, ლეხის ველზე, მემათიანე მიქაელ მთავარანგელოზის სახელს მიაწერს. ხშირად ბრძოლის დასრულების შემდეგ ტარდებოდა სამადლობელი წირვა მიქაელ მთავარანგელოზის მიმართ.

წმინდა გიორგის, როგორც ქრისტიან მებრძოლთა პატრონის კულტი უფრო ადრე დამკვიდრდა აღმოსავლეთში, ხოლო დასავლეთში მებრძოლთა პატრონისა და მეოხის სახით იგი XI საუკუნიდან ჩნდება. ერთ-ერთი პირველი მითითება ამის შესახებ გვხვდება ნორმანების* ბრძოლის აღწერაში სარაცინების* წინააღმდეგ 1063 წელს.

მიუხედავად ყველაფრისა, ვერ ვიტყვით, რომ რაინდობა საეკლესიო ფენა იყო, პირიქით, ის წარმოიშვა როგორც საერო ფენა შუა საუკუნეების

ფეოდალურ სისტემაში. რადგანაც შუა საუკუნეების საზოგადოებაში ყველა ქმედება ღვთის ნების შესაბამისობაში იყო მოყვანილი თანამედროვეთა მიერ, ამდენად, რაინდი და მისი მორალი, შუა საუკუნეების საზოგადოების აზროვნების შესაბამისად, რელიგიურია. რაინდი, უპირველეს ყოვლისა, იყო მებრძოლი, „მილიტეს“ – ასე მოიხსენიებდნენ მათ შუა საუკუნეების სასულიერო ლიტერატურაში. რაინდის სწრაფვა თვითდამკვიდრებისაკენ, სიმდიდრისაკენ, ქალისადმი ტრფობა, ქრისტიანულ იდეოლოგიას უპირისპირდებოდა კიდევ. ამიტომაც, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ რაინდობა იყო ქრისტიანული ფორმის, მაგრამ მაინც უფრო მეტად წარმართულ საფუძვლებზე დამყარებული ინსტიტუტი.

რაინდის ქართული მნიშვნელობა, სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, არის „ცხენის გამწვრთნელი კაცი“. სიტყვა *რაინდი* ევროპაშიც უკავშირდება ცხენოსანს. ცხენოსან მებრძოლს სამხრეთ საფრანგეთში უწოდებდნენ „კაბალარი“, „კავალარი“ – ლათინური სიტყვიდან *caballum* (ცხენი), ხოლო XI საუკუნიდან კი *miles* ითარგმნა, როგორც *chevalier* – რაინდი. გერმანულ ენაში სიტყვა რაინდი (*Ritter*), თავდაპირველად ნიშნავდა მხედარს (*Reiter*), განსაკუთრებით ისეთს, ვინც იხდიდა სამხედრო მოვალეობას, როგორც მხედარი, მაგრამ მალევე, ეს გაგება (*Ritter*) იდეალური მამაკაცის სახელად იქცევა. ინგლისში დაახლოებით XI საუკუნიდან ხმარებაში შემოდის რაინდობის აღმნიშვნელი სიტყვა „knight“, რომელიც წარმოდგება ძველი ინგლისური სიტყვიდან „cniht“, რაც ნიშნავს ბიჭს. ქართულ ენაშიც ჭაბუკი იხმარებოდა რაინდის აღმნიშვნელ ტერმინად.

რადგან რაინდი, უპირველესად, ცხენოსანი მებრძოლია, ისტორიკოსთა ნაწილს რაინდობა აღმოსავლური წარმოშობის ინსტიტუტად მიაჩნდა, სადაც ცხენის კულტი ადრევე დამკვიდრდა. შეიარაღებული მხედარი უფრო ადრე არის ცნობილი აზიაშიც. საერთოდაც, მიაჩნიათ, რომ ადრიანოპოლთან* ბრძოლაში 378 წელს, სადაც რომის ჯარი დაამარცხა ცხენოსანმა ბარბაროსებმა, ევროპაში საფუძველი ჩაეყარა ცხენოსანი ლაშქრის უპირატესობას; ეს თარიღი, ხშირად, ახალი ეტაპის დასაწყისად მიაჩნიათ ევროპაში.

IV საუკუნეში სამხედრო სტრატეგიაში ხდება გადატრიალება, რაც გამოიხატა მხედართა გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩამოყალიბებაში. მხედარი საბოლოოდ ჯაბნის ქვეითს. თუმცა ასევე მიაჩნიათ, რომ ევროპაში მხედრის, ცხენის კულტი კელტური წარმომავლობისაა, შემდგომ კი გერმანელმა ტომებმა გაითავისეს ეს ტრადიცია.

რაინდობამ აღმოსავლეთში ისეთი განვითარება ვერ ჰპოვა, როგორც დასავლეთში. VII-VIII საუკუნეებში არაბმა ცხენოსანმა მხოლოდ ღრობით მიიღო უპირატესობა. ხალიფატის* ეკონომიკურმა განვითარებამ IX საუკუნიდან სამხედრო სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა განაპირობა. გაიზარდა მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა როლი. მხედარი აქ „იქტას“ (არაბულად „ნადელი“) მფლობელი იყო. იდენტური იყო პროცესი იაპონიაში, სადაც VIII საუკუნეში, იმპერატორ კოტოკუს რეფორმების შედეგად, გაიზარდა ფეოდალს მფლობელთა რიცხვი. ფეოდი – „სიონი“ და ფეოდალი „რიოსიუ“ დამოუკიდებელი იყო

სიუზერენისაგან და მიწას მემკვიდრეობით გადასცემდა. პარალელურად, ყალიბდებოდა სამურაების ფენა. XI საუკუნემდე ისინი წარმოადგენდნენ მძიმედ შეიარაღებულ მხედრებს. XI-XII საუკუნეებში სამურაები რაინდთა ორდენად ყალიბდებიან.

ანალოგიური მოვლენები მიმდინარეობდა ბიზანტიაში, სადაც არმია კარგავდა თავის სახალხო ხასიათს, უფრო პროფესიული ხდებოდა, მის ბირთვს წარმოადგენდნენ სტრატეგები – მიწის წვრილი და საშუალო მფლობელები. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის X საუკუნის სამხედრო ტრაქტატები ამ მხედრებს უწოდებდნენ ძველ სახელს – „კატაფრაკტები“. მაგრამ რაინდობის ჩამოყალიბება საბოლოო სახით ბიზანტიაში არ მოხერხდა, რადგანაც ვასალი აქ უფრო დამოკიდებული იყო თავის სიუზერენზე, გარდა ამისა, განუწყვეტელმა ომებმა, რომელთაც აწარმოებდა ბიზანტია, იგი ჩამოაყალიბა, როგორც პოლიტიკურად ორგანიზებული სახელმწიფო, რომელსაც არ სჭირდებოდა რაინდი. ერთი სიტყვით, რაინდს აქ არ დაეკისრა ეთიკური მისია, მისია მხსნელისა და გადამრჩენლის, ქრისტეს მეომრის.

საინტერესო პარალელია: ევროპელი რაინდი და სამურაი. თითქოს, იაპონიის პოლიტიკურ ჩაკეტილობას, უნდა გამოეწვია ძირეული სხვაობა ამ კატეგორიებს შორის, მაგრამ აქ ჩვენ ბევრ მსაგავსებასაც ვხედავთ. სამურაების ეთიკურ კოდექსში – „ბუსიდოში“ მოცემულია სამურაის ძირითადი მახასიათებლები. როგორც ევროპელი რაინდისათვის, მთავარი სახასიათო შტრიხი აქაც სიუზერენის ერთგულება და პიროვნული ღირსებაა. სამურაი უნდა ყოფილიყო ერთგული, ვაჟკაცი, კარგი მეომარი.

საქართველოში რაინდთა ფენას აღნიშნავდა ტერმინი *მოყმე* და *ჭაბუკი*. ტერმინი *რაინდი* პირველად გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“, სადაც იგი მოხსენიებულია ცხენის გამხედნავის აღმნიშვნელად. იმ აზრით, როგორც დღეს ჩვენ მას ვიყენებთ, ის გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“. თამარის მემკვიდრე თამარის ქმრის დავით სოსლანის შესახებ წერს, რომ იყო „რაინდობითა და მშვილდოსნობით უსწორო შემმართველი“. ს. კაკაბაძის აზრით, ქართული რაინდობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპის ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის ქრისტიანული სამეფოს დაარსებამ. მისივე თქმით, „მოყმე იყო უპირველეს ყოვლისა მეომარი. სამხედრო ვნებათა ის დაუდგრომელი ღელვა, რომელიც საშუალო საუკუნეების რაინდს როგორც აღმოსავლეთში, ისე ევროპაში იწვევდა „საგმირო საქმეთა“-კენ, განუწყვეტელი მისწრაფება სხვადასხვა ახალ განცდათა და შემთხვეულობისაკენ, რაინდისათვის როგორც ყველგან, საქართველოშიც დამახასიათებელია. ყველაფერი ეს შეადგენდა ქართველ მოყმეთა თვისებას“. ქართული რაინდობის, ანუ, როგორც ის საქართველოში აღინიშნებოდა, მოყმეთა იდეები ყველაზე მაღალმხატვრულად არის გადმოცემული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

რაინდობის ასპარეზს, ძირითადად, მაინც შუა საუკუნეების საფრანგეთი და გერმანია წარმოადგენდა, საიდანაც ის გავრცელდა შემდეგში ინგლისსა და სკანდინავიის ხალხებში. ესპანეთში რაინდობას თავისებური ფორმა ჰქონდა,

რადგანაც ის, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, მიმართული იყო, ძირითადად, ისლამის წინააღმდეგ საბრძოლველად. იტალიაში კი, სადაც მნიშვნელოვან როლს ქალაქები თამაშობდნენ, რაინდობა, როგორც თავისუფალი ფენა და საკუთარი ციხე-სიმაგრეების მფლობელი, ნაკლებად ჩანს.

რადგანაც რაინდი იყო შეიარაღებული მხედარი და მის სიმბოლოს ცხენი და მახვილი წარმოადგენდა, საინტერესო იქნებოდა შუა საუკუნეების საზოგადოებაში როგორც ცხენის კულტისადმი, ასევე მახვილის სიმბოლოსადმი დამოკიდებულების წარმოდგენა.

მახვილი დამაკავშირებელი ჯაჭვია სუსტთა და უძლურთა დახმარებასა და რაინდობას შორის. იგი ძალაუფლების (ხელისუფლების) სიმბოლოა, რომელსაც ეკლესია საზეიმოდ გადასცემდა მეფეებს გვირგვინკურთხევის საეკლესიო ცერემონიის დროს, ისევე როგორც ის მოგვიანებით გადაეცემოდათ რაინდებს რაინდად კურთხევის დროს.

მახვილის კულტი ქრისტიანობამდეც გვხვდება, განსაკუთრებით ირანულ ხალხებში. ამიანე მარცელინე* წერს, რომ ალანებს არ აქვთ არც ტაძრები, არც სალოცავები და არც რაიმე გადახურული ქოხი. ისინი ერთადერთ რამეს სცემენ თაყვანს – მიწაში ჩაფლულ მახვილს, როგორც ომის ღმერთის სიმბოლოს. ჰეროდოტე მიუთითებდა ასევე სკვითების შესახებ, რომ ისინი მახვილს, როგორც ომის ღვთაების – არესის სიმბოლოს, მსხვერპლად წირავდნენ ცხენებს. საინტერესო გადმოცემა არსებობს ასევე ჰუნების ბელადის ატილას შესახებ, რომელმაც იპოვა მახვილი, რითაც შემდგომში მოიპოვა გამარჯვებები ევროპის ტერიტორიაზე.

შუა საუკუნეების სარაინდო რომანებში ინტერესი მახვილისადმი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქრისტიანული სიმბოლოსადმი, განსაკუთრებულია. შუა საუკუნეებში მრავალი ლეგენდა შეიქმნა მახვილის შესახებ, რომლებიც რომელიმე ხალხის გადმოცემას ეყრდნობა. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ლეგენდა შეიქმნა ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის პერიოდში. ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიის გაჭიანურებული ალყის დროს, გადმოცემის თანახმად, ლაშქრობის ერთ-ერთ მონაწილეს ჰქონდა გამოცხადება, რომ ანტიოქიის ერთ-ერთ ტაძარში დაფლული იყო მახვილი, რომელიც ჯვარცმის დროს რომაელმა ლეგიონერებმა აძგერეს მაცხოვარს. ჯვაროსნებმა ამოთხარეს ეს მახვილი, მისი წამძღვარებით მოიპოვეს გამარჯვება და ანტიოქიას დაეპატრონნენ.

შუა საუკუნეების სარაინდო ეპოსში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გადმოცემებს როგორც ზემოთხსენები მახვილის, ასევე საიდუმლო სერობის ბარძიმის შესახებ. ეს იყო ბარძიმი, რომელიც მაცხოვარმა სერობის დროს გამოიყენა და რომელიც მოიპოვა იოსებ არიმათიელმა*. ის მოიხსენიება, როგორც წმ. გრაალი, რომლის მოპოვება შუა საუკუნეების რაინდისათვის, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ამოცანაა სარაინდო რომანებში.

გადმოცემებში, მახვილი, ხშირად სულიერი სახითაა წარმოდგენილი და საკუთარი სახელიც კი აქვს, მაგალითად, ბოვეულფის მახვილი ხრუტინგი, როლანდის მახვილი დურანდალი, კარლოს დიდის – ჟუაეზი, ლეგენდარული მეფის არტურის მახვილი ეკსკალიბური.



რაინდის მოგზაურობა, შუა საუკუნეების მინიატურა

რაინდის აღზრდა და კურთხევა

რაინდად გახდომისათვის ბავშვობიდანვე ემზადებოდნენ. კეთილშობილი ოჯახის ვაჟი 7 წლის რომ გახდებოდა, დედის ხელიდან მამაკაცის ხელში გადადიოდა აღსაზრდელად, იგი მიჰყავდათ სენიორის სასახლეში „სასწავლებლად“. ამ ბავშვებს პაუებს ან ვალეტებს უწოდებდნენ.

ბავშვების გაზრდა სხვა რაინდის სახლში სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული. უპირველესად, რაინდისათვის დიდი პატივი იყო, აღეზარდა მომავალი მებრძოლი, ოჯახისათვის – მიეზარებინა შვილი აღსაზრდელად წარჩინებული რაინდის სასახლეში. სხვა რაინდისათვის აღსაზრდელად მიზარების წესი იმითაც იყო განპირობებული, რომ მშობლებს, შესაძლებელია, სისუსტე გამოეჩინათ თავიანთი შვილების მიმართ და არ გამოეყენებინათ აღზრდის ის მკაცრი მეთოდები, რომელიც საჭირო იყო რაინდის მოსამზადებლად.

ბავშვები 7 წლის ასაკიდანვე, ხშირად 10-11 წლის ასაკიდან, იწყებდნენ სწავლას რაინდის სასახლეში. ისინი სწავლობდნენ წერას და კითხვას ლათინურად, ასევე თავდაპირველად რაინდებში ძალიან წახალისებული იყო ფრანგული ენის შესწავლა. სწავლობდნენ ბიბლიას და, ხშირად, შვიდი თავისუფალი ხელოვნების* საგნებს. თავისუფალი დრო ეთმობოდა ცეკვას,

არფაზე დაკვრას, მათ ასწავლიდნენ სხვადასხვა საიდუმლო მეცნიერებებს. სენიორის სასახლეში ახალგაზრდა ეუფლებოდა ღვთის სიყვარულსა და პატივისცემას, სწრაფვას სახელის მოხვეჭისადმი და ქალისადმი. სწავლებაში მთავარი იყო საბრძოლო ხელოვნების დაუფლება: სწავლობდნენ ბრძოლის წესებსა და კანონებს, ცხენოსნობას და ჯირითს, ფარიკაობას, მახვილისა და შუბის ხმარებას, მიძინოთი ნადირობას, ჭადრაკის თამაშს. მთავარი იყო, ბავშვებში – მომავალ რაინდებში – აღეზარდათ ღირსებისა და პატივის გრძობა. ამისთვის არსებობდა სხვადასხვა სახის თამაში, რომელიც წვრთნიდა და აყალიბებდა მომავალი რაინდის ხასიათს. ისინი აშენებდნენ ქალაქებს, სადაც აღნიშნული იყო აღმოსავლეთის ქრისტიანული დასახლებები, რაც თავიდანვე მიუთითებდა, რომ რაინდის მოღვაწეობის მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა ქრისტიანული სარწმუნეობისა და ქრისტიანთა დაცვა. რაინდი ბავშვობიდანვე უნდა ჩასწავლობდა თავისუფლების სულს.

14 წლიდან იგი ღებულობდა საჭურველმტვირთველის (მეაბჯრის) წოდებას და ხდებოდა თავისი რაინდის განუყრელი თანამგზავრი. საჭურველმტვირთველები იყოფოდნენ თავიანთი მოვალეობების მიხედვით: საჭურველმტვირთველებს, რომლებიც ემსახურებოდნენ სტუმრების მიღებას სასახლეში, უნდა მიერთმიათ სტუმრებისთვის ღვინო და სადილი, ასევე უნდა შეძლებოდათ მათთან ლამაზად საუბარი. იყვნენ საჭურველმტვირთველები, რომელთა მოვალეობასაც, ძირითადად, წარმოადგენდა ზრუნვა რაინდის სასახლეში არსებულ ცხენებზე, ნაწილის მოვალეობას წარმოადგენდა რაინდის იარაღისა და საჭურველის მოვლა. როდესაც რაინდი სასახლიდან მიდიოდა, საჭურველმტვირთველს უნდა მიერთმია მისთვის აბჯარი, ასევე იარაღი. სასახლეში მათ ასევე იყენებდნენ მსტოვრებად. მათ ევალეობოდათ საიდუმლო წერილების ან სხვა ინფორმაციის გადატანა სხვადასხვა სასახლეებსა და ციხე-სიმაგრეებში. მათ იქ ყოველთვის პატივით ხვდებოდნენ, ისინი ხელშეუხებლები იყვნენ არასასიამოვნო ინფორმაციის მიტანის დროსაც.

დაეუფლებოდა რა რაინდისათვის აუცილებელ ხელობას და უნარ-ჩვევებს, რაინდს შეეძლო აერჩია ქალი, რომლის გულის დაპყრობასაც იგი ცდილობდა.

საჭურველმტვირთველები ეხმარებოდნენ რაინდებს ბრძოლის წინ შემოსვასა და შეიარღვებაში, როდესაც რაინდი შედიოდა ეკლესიაში, ისინი მოვალენი იყვნენ, მისთვის იარაღი და ჩაფხუტი ჩამოერთმიათ. ბრძოლის დროს საჭურველმტვირთველი რაინდის უკან იდგა, თუმცა იგი არ იყო მხოლოდ მაყურებელი, მთელი გულისყურით ადევნებდა თვალს რაინდის ბრძოლას და ეხმარებოდა მას. მას ღროზე უნდა მიეწოდებინა რაინდისათვის ახალი იარაღი, თუ რაინდი ძლიერ დარტყმას მიიღებდა და ცხენიდან გადმოვარდებოდა, წამოეყენებინა და მიეგვარა ახალი ცხენი. საჭურველმტვირთველის მოვალეობანი ძალიან მძიმე იყო და ამ წოდებისათვის პაუების მომზადებას დიდ დროს უთმობდნენ; საჭურველმტვირთველის წოდების ტარება დიდი პატივი იყო, 21 წლის ასაკს მიღწეული ბევრი ახალგაზრდა ვერ ღებულობდა ამ წოდებას.

21 წლის საჭურველმტვირთველს უკვე რაინდად აკურთხებდნენ. არსებობდა რაინდის კურთხევის განსაკუთრებული ცერემონიალი. იგი ტარდებოდა

უმეტესად დიდი საეკლესიო დღესასწაულების – შობის, აღდგომის, ნათლისღების, ამაღლების, ან კიდევ მეფეების გვირგვინკურთხევის, ტახტის მემკვიდრის დაბადების, მისი ნათლობის, ან უფლისწულების ჯვრისწერის დროს.

რაინდობის მოსურნე საჭურველმტვირთველი კურთხევის წინ უნდა განბანილიყო და, ახალ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილს, ღამე ტაძარში უნდა გაეთია. ტაძარში ის მთელი ღამის მანძილზე მუხლმოდრეკილი ლოცულობდა ღვთისმშობლისა და თავისი მფარველი ანგელოზის წინაშე, კითხულობდა ფსალმუნებს და შესთხოვდა უფალს დახმარებას იმ დიად გზაზე, რომელსაც ის უნდა შედგომოდა. მეორე დღით რაინდობის კანდიდატი მუხლმოდრეკილი მოისმენდა წირვას, ამის შემდეგ მას მამა ან ნათლია ტაძრის საკურთხეველთან მიიყვანდა. მათ ხელში ეჭირათ თავლის სანთელი. მოძღვარი იღებდა აღსარებას მომავალი რაინდისაგან და აზიარებდა მას. შემდეგ ისმენდა მისგან საზეიმო ფიცს. მომავალი რაინდი უფლისა და თავისი სენიორის ერთგულების ფიცს საჯაროდ წარმოთქვამდა. ამის შემდეგ, მოძღვარი საკურთხეველიდან იღებდა ხმალს და შემოარტყამდა მას წელზე, შემდეგი სიტყვებით – „სახელითა მამისა და ძისათა სულისა წმიდისათა, მიიღე ეს მახვილი და გამოიყენე იგი შენი თავის და ღმერთის წმინდა ეკლესიის დასაცავად, დაამარცხე ქრსიტეს ჯვრის და ქრისტიანული სარწმუნეობის მტრები და არ გამოიყენო არასოდეს უსამართლოდ“.

ხშირად რაინდის კურთხევისას მოძღვარი კითხულობდა რაინდის კოდექსს, სადაც მოცემული იყო რაინდის უფლება-მოვალეობანი, ასევე შეახსენებდა მას თავის მოვალეობას უფლის წინაშე და განუმარტავდა რაინდის საჭურველის და შეიარაღების ქრისტიანულ მნიშვნელობას, შემდეგი სახით:

„მახვილი, რომელსაც ჯვრის ფორმა აქვს, შეგახსენებს შენ, თუ როგორ დაამარცხა მაცხოვარმა ჯვარზე ადამიანური ცოდვები და სიკვდილი, ასევე შენ უნდა დაამარცხო შენი მტრები ამ მახვილით, რომელსაც აქვს ჯვრის ფორმა, ეს ასევე მიაწინებს იმაზე, რომ მახვილი არის სამართლიანობის იარაღი და, ამდენად, იღებ რა მას, შენ ვალდებული ხარ იყო ყოველთვის სამართლიანი.

ჯავშანი შენს სხეულზე არის საშუალება, დაგიცვას მტრის დარტყმისაგან. როგორც ციხე-სიმაგრე არის გარშემორტყმული ძლიერი კედლებით და ღრმა თხრილებით, რათა დაიცვას იგი მტრის შემოსევისაგან, ასევე ჯავშანი და ჩაფხუტი იცავს რაინდის სხეულს ყოველი მხრიდან, რაც არის ნიშანი იმისა, რომ რაინდის გული შეუღწეველია ღალატისა და ამპარტავნებისათვის.

ეს გრძელი და სწორი შუბი არის სიმბოლო ჭეშმარიტებისა. რკინა მასში ნიშნავს ჭეშმარიტების უპირატესობას სიცრუეზე, ხოლო მის ბოლოში დროშა მაჩვენებელია იმისა, რომ ჭეშმარიტება არ უნდა დაიმალოს, არამედ უნდა იყოს აღიარებული ყველას წინაშე.

მუზარადი აღნიშნავს ძალას და ვაჟკაცობას. როგორც ის უძლებს დარტყმებს, ასევე ნებისყოფის ძალა იცავს რაინდს ყველა ცოდვისაგან.

ხელთათმანები, რომელიც იცავს შენს ხელებს, არის მიმანიშნებელი იმაზე, თუ როგორ უნდა უფრო ხოლმე რაინდი ყოველგვარ უწმინდურობასთან შეხებას, სძულდეს ქურდობა, ფიცის დარღვევა და ყოველგვარი სიგლახე.“

როდესაც ეს პროცესი დასრულდებოდა, რაინდს მიუახლოვდებოდა სენიორი, რომლის ციხე-კოშკშიც ის იზრდებოდა. სენიორი სამჯერ დაადებდა მახვილს თავზე და მხრებზე შემდეგი სიტყვებით: „ღვთის, წმინდა გიორგისა და წმინდა მიქაელის სახელით, გაკურთხებ შენ რაინდად“. ბოლოს, ახლად ნაკურთხი რაინდი, ტაძრიდან გამოსული, შემოახტებოდა ცხენს და გააჭენებდა ციხე-კოშკისაკენ, სადაც მას ამ დღის აღსანიშნავად დიდი ზეიმი და ტურნირი ელოდა.

განსაკუთებული იყო ტახტის მემკვიდრეების, უფლისწულების რაინდად კურთხევის წესი. ასეთ შემთხვევაში, მეფე უფრო ფართო მასშტაბის ღონისძიებას ატარებდა. ძალიან მასშტაბური იყო იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსას ვაჟების, მეფის ჰაინრიხისა და ჰერცოგ ფრიდრიხის რაინდად კურთხევის ცერემონიალი 1184 წელს. როგორც თანამედროვე მემატნიანე გადმოგვცემს, ამ ცერემონიალს ესწრებოდა 70 000 რაინდი, როგორც იმპერიის ყველა მხარიდან, ასევე ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ბურგუნდიიდან და ფლანდრიიდან. ამ დღის აღსანიშნავად ჩატარებულ ტურნირში მონაწილეობდა 20 000 რაინდი. შეიძლება, ეს ციფრები გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მიუთითებს იმაზე, რომ რაინდობა ინტერნაციონალური და დიდი ძალა იყო.

შესაძლებელი იყო, რაინდად კურთხევა უფრო მარტივად შესრულებულიყო. ეს ხდებოდა, უმეტესწილად, ომის პირობებში, როდესაც სენიორი ამ ცერემონიალს ასრულებდა მხოლოდ მახვილის მხრებზე დადებითა და შემდეგი სიტყვებით: „ღვთის, წმინდა გიორგისა და წმინდა მიქაელის სახელით, გაკურთხებ შენ რაინდად“.

შესაძლებელი იყო, ბრძოლის პერიოდში რაინდობის წოდება დიდი რაოდენობის მებრძოლებისათვის ერთდროულად მიენიჭებინათ, მათ შორის გვხვდებიან უბრალო წარმოშობის მებრძოლებიც. მაგალითად, ფრიდრიხ ბარბაროსამ ბრძოლის ველზე მიანიჭა რაინდის წოდება უბრალო მებრძოლებს და გლეხებსაც კი. ასეთივეა შუა საუკუნეების მატნიანეში გადმოცემული ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც, საფრანგეთის მეფემ ფილიპ ლამაზმა, როდესაც მისი რაინდობა თითქმის განადგურდა ფლანდრიელებთან ბრძოლაში, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ყველას, ვისაც ჰყავდა ორი ვაჟი, ერთი უნდა გაეხადა რაინდად, ხოლო ვისაც სამი ვაჟი ჰყავდა – ორი. თანამედროვენი წუხილით გადმოსცემენ ამ ამბავს და მასში რაინდობის დაკნინებას ხედავენ. ასეთი სახით წარმოქმნილ რაინდებს წყალობის რაინდებს უწოდებდნენ. ასეთი დაბალი ფენიდან წარმოიშვა ტრუბადურების დიდი ნაწილი, მაგრამ მათ თავიანთი მოღვაწეობით დიდ პატივს მიაღწიეს.

იმისათვის, რომ რაინდად კურთხევის ცერემონიალი უფრო ნათელი იყოს, გთავაზობთ რაინდად კურთხევის ერთ-ერთი ცერემონიალის აღწერას, რომელიც იოჰანეს ბეკელის ქრონიკიდან გადმოიღო პროფ. ი. დოლიძემ და ქართულად თარგმნა:



რაინდის კურთხევა, მინიატურა

ვილჰელმ ჰოლანდიელის რაინდად კურთხევა

„...მას შემდეგ, რაც ყოველგვარი მზადება დამთავრდა კელნის ეკლესიაში, სახარების წაკითხვის შემდეგ, ბოჰემიის* მეფემ ... მეაბჯრე (საჭურველმტვირთველი) ვილჰელმი წარუდგინა კარდინალ პეტრე კაპუციუსს, პაპ ინოკენტი IV დესპანს და თქვა: „თქვენო უსამღვდელოესობავ, მამაო, ჩვენ წარვიდგენთ ამ რჩეულ მეაბჯრეს და მორჩილებით გთხოვთ, მიიღოთ მისი საღრმთო აღთქმა, რათა ჩვენ საშუალება გვქონდეს, მივიღოთ ის ჩვენს რაინდთა საზოგადოებაში“.

კარდინალმა კი, რომელიც იქვე იდგა მღვდლის სამოსელში, მიმართა მეაბჯრეს ისე, რომ ყურად იღებდა ყველა სიტყვას და თქვა: „თითოეული, ვისაც სურს რაინდად გახდომა, უნდა იყოს დიდსულოვანი, წარჩინებული, მდიდარი, გამოჩენილი და მამაცი; დიდსულოვანი უბედურების დროს, წარჩინებული – წარმოშობით, მდიდარი – სიქველით, გამოჩენილი – თავისის საქციელით, მამაცი – ვაჟკაცური გამბედაობით. მანამდე, ვიდრე აღთქმას დადებდე, საღი გონებით განსაჯე რაინდის მცნებები. ეს მცნებები შემდეგია: უწინარეს ყოვლისა, ყოველდღე მოუსმინო წირვას ქრისტეს ვნებათა ხსოვნისათვის, გაბედულად გასწირო სიცოცხლე სარწმუნოებისათვის, იხსნა ეკლესია და მისი მსახურნი ყველასაგან, ვინც ძალადობას აყენებს მას, დაიცვა ქვრივი და ობოლი გაჭირვებაში, მოერიდო უსამართლო ომს, არ შეასრულო უკეთური სამსახური, გახვიდე ორთაბრძოლაში უდანაშაულოს გადასარჩენად, მიიღო მონაწილეობა ტურნირებში მხოლოდ ვარჯიშისათვის, ყველა საქმეში მოწიწებით დაემორჩილო რომის იმპერატორს*, არ ხელყო იმპერატორის ქონება, არავითარ შემთხვევაში არ გაასხვისო მეფის ან იმპერატორის ლენები და, საერთოდ, ღვთისა და ადამიანის წინაშე მოიქცე უმწიკვლოდ. უკეთუ შენ ამ მცნებას მორჩილად დაიცავ და, შეძლებისამებრ, გულმოდგინედ შეასრულებ, მაშ

იცოდე, რომ შენ დაიმსახურებ დროებით პატივისცემას ამქვეყნად და სიცოცხლის შემდეგ საუკუნო სასუფეველს ცათა შინა“.

ამის შემდეგ, კარდინალმა მეაბჯრის ორივე ხელი დაადო სახარებას და თქვა: „გსურს თუ არა, ღვთის სახელით, მორჩილებით მიიღო რაინდის ღირსება და შეძლებისამებრ შეასრულო სიტყვასიტყვით წაკითხული წესები?“ მეაბჯრემ უპასუხა: „ღიახ, მსურს“.

ამის შემდეგ, კარდინალმა გადასცა მეაბჯრეს ფიცის ტექსტი და მან დამსწრეთა წინაშე ხმამაღლა წაიკითხა: „მე, ვილჰელმ, ჰოლანდიელი გრაფი, საღვთო იმპერიის თავისუფალი ფეოდალი, ვფიცავ წმიდა სახარებას, რომელსაც პაპის ტახტის კარდინალისა და ლეგატის – პეტრეს თანდასწრებით ვეხები საკუთარი ხელით, შევასრულო რაინდული წესები“. კარდინალმა თქვა: „დაე ეს თავმდაბლური ფიცი იყოს შენი ცოდვების შენდობა! მინ“.

როგორც კი ეს ითქვა, ბოჰემიის მეფემ მაგრად დაჰკრა მეაბჯრეს კისერზე და თქვა: „ყოვლისშემძლე ღმერთის სადიდებლად მე გლებულობ შენ რაინდთა რიცხვში და ბედნიერების სურვილით – ჩვენს საზოგადოებაში; მაგრამ გახსოვდეს, შენს მაგიერ როგორ სცემდნენ მაცხოვარს მღვდელმთავარ ანას წინაშე, როგორ დასცინოდნენ მას პილატეს წინაშე, როგორ ამათრახებდნენ და ეკლის გვირგვინს ადგამდნენ, როგორ შემოსეს იგი მეწამული სამოსით და მასხრად იგდებდნენ მას მეფე იროდის (ჰეროდეს) წინაშე. მე გთხოვ, გახსოვდეს შენ ეს დაცინვა, იტვირთო მისი ჯვარი, მოგიწოდებ, შური იძიო მისი სიკვდილისათვის.“

მას შემდეგ, რაც ყველაფერი საზეიმოდ დამთავრდა და წირვა შესრულდა, ახალი რაინდი საყვირების, ბუკისა და ნალარის კვრაში სამგზის ეკვეთა შუბით ბოჰემიის მეფის ძეს, ხოლო ამის შემდეგ გაუძლო მოელვარე ხმლებით ასპარეზობას. სამი დღეს იზეიმა დიდი ხარჯებით და ამასთანავე დამსწრეთ უბოძა დიდძალი საჩუქარი.“

რაინდის აღჭურვილობა, ცოხე-კოშკები

საბრძოლველად შეიარაღებულ რაინდს მთელი სხეული ჯავშნით ჰქონდა დაფარული. XI საუკუნის ბოლომდე ეს იყო რკინის რგოლებისაგან მოქსოვილი ჯაჭვის პერანგი, მოგვიანებით მას ლითონის ფირფიტებისაგან გაკეთებული აბჯარი ცვლის. ბრძოლის დროს რაინდი თავზე იხურავდა მუზარადს – რკინის ჩაფხუტს, კონუსის ფორმის მქონე ფოლადის თავსაბურავს. მუზარადი რკინის ან შუშის ბურთულით ბოლოვდებოდა. მუზარადს თან ახლდა ლითონის ფირფიტა ცხვირის დასაცავად. რკინის საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა მძიმე და გრძელი ხის შუბი, რომბისებრი რკინის ბუნიკით. ბუნიკთან აჭედებდნენ ქსოვილისაგან დამზადებულ ემბლემას, რომელიც ქარში ფრიალებდა. ამრიგად, შეიარაღებული რაინდი ცოცხალ ციხე-სიმაგრეს ემსგავსებოდა.



შუა საუკუნეების რაინდი

რაინდი განუყრელად ატარებდა ფარს. ფარი ხისა და ტყავისაგან იყო დამზადებული, დაფარული ლითონის ფირფიტებით. ფარი ჯერ მრგვალი იყო, შემდგომში ის ისე დაგრძელდა რომ მთლიანად ფარავდა მხედარს. ფარზე გამოსახული იყო რაინდის გერბი, რომელიც მის კეთილშობილურ წარმომოშობაზე მიუთითებდა.

ფარი რაინდის ძირითადი გამოსაცნობი ნიშანი იყო. ფარზე გამოსახული გერბი წარმოადგენდა რაინდის წარმომავლობისა და ვინაობის გარკვევის საშუალებას.

გერბების გაჩენას ისტორიკოსები ჯვაროსანთა ომებს უკავშირებენ, როცა ევროპელი რაინდი თავისი წარმატებების აღსანიშნავად მის მიერ დაპყრობილი ქალაქების კედლებსა და ციხე-კოშკებზე ცდილობდა თავისი საგვარეულო ნიშნის ამოტვიფრას. ასევე, ისინი თავიანთ ფარებზე გამოსახავდნენ თავიანთ საგვარეულო გერბებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, გერბების წარმომოშობა უფრო შორეული ისტორიის ნაყოფია. საგვარეულო და სხვა განმასხვავებელი ნიშნები გვხვდება ჯერ კიდევ ეგვიპტეში, ასევე ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. საბერძნეთში ქალაქებს თავისი ნიშნები ანუ გერბები ჰქონდათ. კორინთოს სიმბოლო იყო მფრინავი ცხენი (პეგასი), ათენისა – ბუ, პელოპონესისა – კუ, თებესი – ფარი, სამოსის – ფარშევანგი, როდოსის – ვარდი. ეს გერბები რომაულ სამყაროშიც გადმოდის. პომპეუსის* გერბზე გამოსახულია ლომი ხმლით ხელში, კეისრისაზე* – შეიარაღებული ვენერა. აქაც საინტერესო ფაქტია, ან ისტორიული დამთხვევა. ამა თუ იმ საგვარეულოს გერბი თანდათან მკვიდრდებოდა და მისი გადატანა სხვა საგვარეულოზე შეუძლებელი იყო. შუა საუკუნეების საზოგადოებაში იყვნენ სწავლულები, რომლებიც სპეციალურად სწავლობდნენ გერბებს და რომელთა მოვალეობას წარმოადგენდა, სცოდნოდათ განსხვავება საგვარეულო გერბებს შორის და თვალყური მიედევნებინათ დადგენილი წესებისათვის, რათა არ დარღვეულიყო ისინი, დაცული ყოფილიყო

ჰერალდიკის ზოგადად აღიარებული წესები. ჰერალდიკის წესების დაცვა მოეთხოვებოდა ყველა რაინდს და იგი განსაკუთრებით მოწმდებოდა ტურნირის დაწყების წინ. რაინდი გამოცხადდებოდა მოედანზე, ჩაბერავდა საყვირს, მასთან მივიდოდა ჰეროლდი¹, რომელიც შეამოწმებდა მისი გერბის შესაბამისობას საგვარეულო გერბთან და, როდესაც იგი დაადასტურებდა მის სინამდვილეს, მხოლოდ ამის შემდეგ მიიმაგრებდა რაინდი საყვირს (ბუკს) მუზარაღზე და შეუერდებოდა თავის საძმოს.

რაინდებს ასევე ჰქონდათ დევიზი, ანუ თავიანთი მოწოდებები. დევიზი – ეს იყო გმირობისა და სიმამაცის გამომხატველი, შემოკლებული გადმოცემა რაინდთა საგმირო თავგადასავლისა, რომელსაც ქმნიდნენ ციხე-კოშკიდან და ამა თუ იმ ადგილიდან სხვა ადგილებზე მოხეტიალე რაინდები, ტრუბადურები. ყველა დევიზი სხვა ემბლემისაგან განსხვავებულ შინაარსს იძენდა. ხშირად მათ ალეგორიული მნიშვნელობაც ჰქონდათ. იყო სხვადასხვა შინაარსის დევიზი, მაგალითად: გაფრთხილდი – ეს მე ვარ; გეშინოდეს შავი ხარის და ა.შ.

რაინდის ფარის ფორმის მიხედვით შესაძლებელი იყო მისი ეროვნების გარკვევა. ინგლისელებს ჰქონდათ მრგვალი ფარი, იტალიელებს – ელიფსოიდური, ფრანგებს – ან ოთხკუთხა ან გულისმაგვარი, გერმანელებს – მრგვალი, ზევით ამოჭრილი სამკუთხედით, ესპანელებს კი რადიუსზე გადაჭრილი ელიფსის მაგვარი.

ციხე-კოშკები

ფეოდალები შუა საუკუნეებში ცხოვრობდნენ ციხე-კოშკებში, რომლებიც შენდებოდა განსაკუთრებით შერჩეულ ადგილებში. იგი გარშემორტყმული იყო მიწაყრილითა და სქელი გალავნით. ციხე-სიმაგრეს არა მხოლოდ სამხედრო-თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა, არამედ ის წარმოადგენდა რაინდისა და მისი ოჯახის საცხოვრებელსაც. ამდენად, სიმაგრე იყო როგორც დამცავი, ასევე საცხოვრებელი თუ სხვა სახის დამხმარე ნაგებობებისაგან შემდგარი მთელი კომპლექსი.

ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა მრგვალ ან ოთხკუთხა განიერ კოშკს კლაკნილი ფორმებით, ზოგჯერ კოშკებთან იყო მიბჯენილი დიდი ლოდები. კოშკებიანი ციხე-სიმაგრის მფლობელობა დიდ პატივად ითვლებოდა. ციხე-სიმაგრის კოშკებს შორის ერთი გამოირჩეოდა თავისი სიმაღლით, მას ოთხივე მხარეს ჰქონდა სარკმელი, ეს იყო სასახლის პატრონის საცხოვრებელი და სამეთვალყურეო კოშკი. ეს მთავარი კოშკი, რომელსაც გერმანელები ბურგს, ხოლო ფრანგები დონჟონს უწოდებდნენ, განსაკუთრებულად იყო დაცული, მასში შელწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ჯაჭვის ასაწევი კიბით, ან მოძრავი მისაყუდებელი კიბით. ამ კოშკზე იყო ზარი, რომელსაც ჩამოკრავდნენ მტრის გამოჩენისთანავე, რათა მოსახლეობისათვის ემცნოთ ამის შესახებ. ზარების


¹ ამ ინსტიტუტის შესახებ საისტორიო ლიტერატურაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ყოველ შემთხვევაში, მათ მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა საგვარეულო გერბების შესწავლა და წარჩინებულთა შორის არსებული დავების განხილვა.

ხმაზე გლეხები ტოვებდნენ თავიანთ სამუშაოებსა და სამოსახლოებს და ციხე-სიმაგრეში იკრიბებოდნენ. სამეთვალყურეო კოშკზე ყოველთვის იმყოფებოდა გუშაგი. ის უხმობდა გლეხებს განთიადზე სამუშაოდ.

კოშკები ერთმანეთთან შეერთებული იყო განიერი აივნებითა და ფლიგელებით. ოთახები კოშკებში არ იყო მყუდრო და ცუდად იყო განათებული, ვინაიდან ვიწრო სარკმელები ჰქონდათ. არ არსებობდა ჰიგიენის დაცვის პირობები. ოთახებში იყო დიდი ბუხრები, რომელთა წინ თავისუფლად თავსდებოდა კოშკის მფლობელი თავისი ოჯახითა და ამალითაც კი. ბუხრების თავი მორთული იყო საბრძოლო იარაღებითა და საგვარეულო გერბით. დონჟონს ჰქონდა სარდაფი, სადაც ინახავდნენ ღვინოს და ზამთრისთვის პროდუქტებს, ასევე სარდაფში ინახებოდა მეპატრონისა და მისი მეუღლის ძვირფასეულობები. სარდაფებს იყენებდნენ ტყვეების საპყრობილედაც.

სიმაგრის ტერიტორიაზე განლაგებული იყო საჯინბო და სხვა სახის დამხმარე ნაგებობანი, რომლებიც განკუთვნილი იყო შინაური ცხოველებისათვის, რომელთა სიმრავლის გამო, ციხე-სიმაგრის პატარა ეზოში ყოფნა ხშირად აუტანელი ხდებოდა; მაგრამ XIII საუკუნიდან უკვე გაფართოვდა სიმაგრეების ტერიტორია და მასზე უკვე შენდებოდა რამდენიმე კოშკი და კოშკის მეპატრონისთვის – ცალკე სასახლე. ახალი კოშკები გამოირჩეოდნენ თავიანთი მდიდრული მოწყობილობით. განსხვავებით ადრინდელი კოშკებისაგან, რომლებიც ხშირად ისე მოკრძალებულად იყო მოწყობილი, რომ რაინდის საცხოვრებელი ოთახი ბერის სენაკს მოგავგონებდათ, ამჯერად სასახლის მეპატრონეები თავიანთ დარბაზებს ამკობდნენ უცხოეთიდან ჩამოტანილი ძვირფასი ნივთებით და ფუფუნების საგნებით. წარმატებებისა და მიღწევების გამოვლენას რაინდები სასახლის მდიდრულად მოწყობითა და მდიდრული ნადიმების ჩატარებით ცდილობდნენ. სასახლის კედლებზე გამოფენილი იყო როგორც სასახლის პატრონის საგვარეულო გერბები, ასევე ნივთები და სიგელები, რომლებიც ადასტურებდნენ მათი პატრონის ჯვაროსნულ ლაშქრობებსა თუ სხვა წარმატებულ ბრძოლებში მონაწილეობას.





შუა საუკუნეების რაინდთა ციხე-კოშკები

ციხე-კოშკში მისი მფლობელის ძალაუფლება განუზომელი იყო. სასახლის მფლობელი თვითონ გამოდიოდა მოსამართლის როლში და თვითონვე ადასრულებდა განაჩენს. სამართლის განხორციელებისას ის უმეტესად ეყრდნობოდა თავის ნება-სურვილს და არავითარ კანონს არ ითვალისწინებდა, არც საეკლესიოსა და არც რაიმე საადათო სამართალს. სასჯელის ფორმებსაც თვითონ სენიორი ადგენდა და ხშირად სასჯელი წარმოუდგენლად სასტიკ მეთოდებს იყენებდა კიდევ.

ციხის მეპატრონე რაინდის ერთ-ერთ მთავარ გასართობს ნადირობა წარმოადგენდა. მშვიდობიანობის პერიოდში რაინდი მთელი თავისი ამალით კვირები რჩებოდა სანადიროდ ტყეში, ღამეებს კარავში ატარებდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სანადირო ძაღლებისა და ფრინველების გაწვრთნას. განსაკუთრებით ფასობდა მიმინო, რომელსაც პატრონი არ იშორებდა არა მარტო ნადირობისას, არამედ ყველგან თან დაატარებდა – ეკლესიაშიც კი, წირვაზე ყოფნისას. წარჩინებულთა განსაკუთრებული დამოკიდებულებაზე მიმინოსადმი ისიც მიუთითებდა, რომ შუა საუკუნეების სამართალში მისი მოკვლა გატოლებული იყო უბრალო გლეხის მოკვლასთან. იყო შემთხვევები, როდესაც ტყვე რაინდი უარს ამბობდა გამოსასყიდად მიმინოს მიცემაზე, თუმცა იხდიდა ძალიან დიდ გამოსასყიდს.

კოშკში მცხოვრები ქალები, ძირითადად, საოჯახო საქმეებით იყვნენ დაკავებული. კოშკის დიასახლისი ზრუნავდა ბავშვების განათლებაზე. ქალიშვილები სწავლობდნენ მცენარეთა სამკურნალო თვისებებს, ასევე ჭრილობათა დამუშავებას, ისინი იკრიბებოდნენ ერთ-ერთ დარბაზში, ამუშავებდნენ მატყლს, ასევე სხვადასხვა ხელსაქმეს სწავლობდნენ და თანაც ერთობოდნენ სხვადასხვა საგმირო საქმეთა თხრობით.



იარაღის დარბაზი

რაინდების წეს-ჩვეულებანი

ტურნირები, ღუელი

ტურნირებსა და საბრძოლო თამაშებს რაინდის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ისინი შეიძლება შევადაროთ ძველი საბერძნეთის ოლიმპიურ თამაშებს. ტურნირებში გამოჩნდებოდა რაინდთა საბრძოლო მომზადების დონე და აქვე ისინჯებოდა მათი იარაღისა და აღჭურვილობის სიმტკიცე. ქრისტიანული ეკლესია წინააღმდეგი იყო ტურნირების ჩატარებისა, რადგანაც ის მიაჩნდა უაზრო დროის ტარებად და გართობად, რომელიც ტრაგიკული შედეგებით მთავრდებოდა.

1130 წელს, კლერმონის II საეკლესიო კრებაზე, რომის პაპმა ინოკენტი II აკრძალა ტურნირები. ამავე კრებაზე დადგინდა, რომ იკრძალებოდა ქრისტიანული წესით დასაფლავება მათი, ვინც ტურნირზე მოკვდებოდა. მიუხედავად ამისა, ტურნირები მაინც ტარდებოდა, ის რაინდებისთვის იყო არა მხოლოდ გართობის, არამედ სამხედრო ძლიერებისა და მომზადების დემონსტრირება. ამდენად, რამდენადაც რაინდობა წარმოადგენდა შუა საუკუნეების საზოგადოების მნიშვნელოვან ძალას, ეკლესიაც და სახელმწიფოც ხშირად უკან იხევდა და გარკვეულ შეღავათებზე მიდიოდა. მოგვიანებით დადგინდა ტურნირის ჩატარების სპეციალური წესები, რომლის დაცვა სავალდებულო იყო ყველასათვის, თანაც ტურნირები ტარდებოდა სამეფო მოხელეების – ჰეროლდების ზედამხედველობის ქვეშ. ტურნირზე მხოლოდ წარჩინებული წარმოშობის რაინდები დაიშვებოდნენ.

პირველი ცნობა ტურნირების შესახებ ჯერ კიდევ IX საუკუნეში გვხვდება. პირველი ცნობილი გერმანული ტურნირი, თავისი ნამდვილი წესებით, ჩატარდა 1127 წელს, ვიურცბურგში.* ინგლისში ტურნირების ჩატარებას საფუძველი დაუდო რიჩარდ ლომგულმა. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად გარკვეული გადასახადი იყო დაწესებული, რომელიც განისაზღვრებოდა მასში მონაწილის მდგომარეობისა და შემოსავლის შესაბამისად. ტურნირებზე ქალაქში ან ფეოდალის სასახლეში, სადაც ის ტარდებოდა, სხვადასხვა მხრიდან ბევრი ხალხი იკრიბებოდა. სატურნირო მოედნებზე ეწყობოდა სპეციალური ტრიბუნები კეთილშობილი ბატონებისა და ქალბატონებისათვის. ტურნირები ხშირად იმართებოდა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად, მაგალითად, მეფის, ჰერცოგის, ან კიდევ წარჩინებული რაინდის ქალიშვილის გათხოვების, შვილის რაინდად კურთხევის, მტერთან ზავის დადების ან ხანდახან, უბრალოდ, გასართობად. ცნობა ტურნირის ჩატარების შესახებ, სწრაფად ვრცელდებოდა მთელ მხარეში. ბარონები აგზავნიდნენ შიკრიკებს სხვადასხვა საპატიო სტუმართან, ტურნირზე მისაწვევად. რაინდების ყველა კომპი იწყებდა განსაკუთრებულ მზადებას ტურნირისათვის. არჩევდნენ საუკეთესო სამოსელს და იარაღს, აბჯარს, ასევე ცხენებს ტურნირისათვის. ყველა ცდილობდა, თავი მოეწონებინა ტურნირზე თავისი სამოსელის, შეიარაღებისა და ამაღის უპირატესობით. ტურნირი იყო როგორც თავის გამოჩენის ადგილი, ასევე

ნადავლის მოპოვების საშუალება, ნაწილისათვის ის იყო ასპარეზი, სადაც შეეძლო თავისი სიმამაცით და გამბედაობით მონადირებინა საყვარელი ქალის გული.

ტურნირის დაწყების წინ ქალაქი, სადაც ტურნირი ტარდებოდა, საზეიმოდ მორთვებოდა. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მიმავალ ბარონებს თან ახლდათ ძალიან დიდი ამალა. როგორც შუა საუკუნეების ქრონიკებშია აღწერილი, ამალის წინ მიდიოდა რამდენიმე ასეული საჭურველმტვირთველი, შემდეგ მას მისდევდნენ პაუები, რომელთაც ხელით მოჰყავდათ მიმინოები, შემდეგ – მუსიკოსები, მათ მოსდევდნენ რაინდები და ბოლოს – თვითონ სენიორი.

ტურნირი იყო სამხედრო შეჯიბრება, რომელიც სპეციალურად მომზადებულ არენაზე ტარდებოდა. როგორც ეს ტურნირის ჩატარების სპეციალური დებულებებით იყო განსაზღვრული, ტურნირზე ბრძოლის დროს რაინდის იარაღი არ უნდა ყოფილიყო ბასრი, რათა ამით მიყენებული დარტყმა არ გამხდარიყო სიცოცხლისთვის საშიში. ასევე სპეციალური ცირკულარებით რეგულირდებოდა ტურნირზე მონაწილეთა დაშვების წესები. დღემდე მოაღწია რამდენიმე ასეთმა ცირკულარმა ტურნირზე რაინდთა დაშვების შესახებ, სადაც განსაზღვრული იყო ის მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი პირობა იყო ტურნირზე დასაშვებად, ასევე წესები, რომელთა დაცვა მოეთხოვებოდა რაინდებს ტურნირზე მონაწილეობისას.



ტურნირი, მინიატურა

სპეციალური მოხელე, ჰეროლდი ტურნირის დაწყების წინ ამოწმებდა რაინდების გერბებს და ასევე რაინდთა წარმომავლობის შესახებ ინფორმაციას. წესის დამრღვევი რაინდი საჯაროდ ცხადდებოდა წესის დამრღვევად და მას ტურნირიდან აძევებდნენ. მას ასევე ეკრძალებოდა შემდგომში სხვა ტურნირებში მონაწილეობა. ტურნირის დაწყების წინ, ან ტურნირის ორგანიზატორი თავის მოსაწვევ ბარათებში აცხადებდა ტურნირის მთავარ პრიზს. პრიზი შეიძლება ყოფილიყო ფულის მნიშვნელოვანი რაოდენობა, ასევე გვირგვინი, ქამარი, რაიმე ცხოველი – დათვი ან ირემი, ან, სულაც, რამდენიმე წარჩინებული ქალბატონის კოცნა. ტურნირის დაწყების წინ ირჩევდნენ ტურნირის დედოფალს, რომელიც

გამარჯვებულს გადასცემდა პრიზს. ტურნირებზე იყო სხვადასხვა სახის თამაშობები. ძირითადად, იყო ორთაბრძოლები, ასევე გუნდური ბრძოლები. ტურნირები ხშირად ტრაგიკულად მთავრდებოდა. 1241 წელს ერთ-ერთ ტურნირზე ასი რაინდი დაიღუპა. თვით ჰერცოგები და გრაფებიც ხდებოდნენ ტურნირის მსხვერპლნი. 1186 წელს პარიზში ტურნირზე დაიღუპა ინგლისის მეფის ჰენრი II ვაჟი ჟოფრუა პლანტაგენეტი, 1234 წელს ნიმვეგენში* – ფლორენც IV ჰოლანდიის გრაფი, 1238 წელს – მისი ძმა ვილჰელმი, ხოლო 1258 წელს ანტვერპენში – მისი ვაჟი ფლორენცი და ა.შ. მართალია, კათოლიკურმა ეკლესიამ ვერ შეძლო ტურნირების აკრძალვის გატარება ცხოვრებაში, მაგრამ ის კატეგორიულად უარს ამბობდა ტურნირზე დაღუპულების ქრისტიანული წესით დაკრძალვაზე. მაგალითად, ჰოლანდიის გრაფი ფლორენც IV დაკრძალეს ტყეში საეკლესიო რიტუალის გარეშე.

ტურნირისაგან განსხვავებული მოვლენა იყო ღუელი და ორთაბრძოლები, რომელიც ტარდებოდა ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი დაპირისპირებების მიზეზით, მას არაფერი ჰქონდა საერთო რაინდულ შეჯიბრებასთან. ღუელი უფრო ფეოდალური შინაომების გაგრძელებას წარმოადგენდა.



ორთაბრძოლა, მინიატურა

შინაომები, რომელიც დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეებისათვის, რაინდების მოქმედების მნიშვნელოვანი არენა ხდება. დაპირისპირება, რომელიც არსებობდა ფეოდალურ საგვარეულოთა შორის, ხშირად მათ შორის ომში გადაიზრდებოდა ხოლმე და ეს ბრძოლები, უმეტესწილად, მძიმე შედეგებით მთავრდებოდა. ომების შედეგად ამოწყდა რამდენიმე საგვარეულოს პირდაპირი მემკვიდრეობა, ნადგურდებოდა ქალაქები და დასახლებები.

მეფეები კრძალავდნენ ფეოდალთა შინაომებს. ასეთი იყო დადგენილება „საღვთო ზავის“ შესახებ, რომელიც კრძალავდა ომებს მარხვის პერიოდში და ასევე პარასკევიდან კვირის ჩათვლით. პირობის დამრღვევები ისჯებოდნენ ეკლესიიდან განკვეთითა და გადასახლებით. შინაომებისა და ფეოდალური დაპირისპირების გამოვლენა იყო ღუელი, რომელიც იმართებოდა რაინდებს შორის. ღუელი, რომელიც წარმოადგენდა შურისძიების ანუ სისხლის აღების

ერთ-ერთ ფორმას, მოგვაგონებს ადრეშუასაუკუნეების ტრადიციული სამართლის – ორდალიის გაგრძელებას, როდესაც სამართლის პონა შესაძლებელი იყო ღვთის სასამართლოზე, ანუ მართალს და მტყუანს განსჯიდა ღმერთი და ის მიანიჭებდა გამარჯვებას მართალს.

ქრისტიანული ეკლესია და საერო ხელისუფლება დაპირისპირების მოგვარებისა და გადაწყვეტის ასეთი ფორმის წინააღმდეგი იყო. საფრანგეთის მეფემ ფილიპ ლამაზმა 1303 წელს, სპეციალური დადგენილებით, ღუელი სისხლის სამართლის დანაშაულად გამოაცხადა.

რადგანაც ღუელისა და ორთაბრძოლების აკრძალვის ცხოვრებაში გატარება შეუძლებელი ხდებოდა, მეფეები იძულებული გახდნენ, დაედგინათ ღუელის ჩატარების სპეციალური წესები. ღუელში მონაწილეობის უფლება მხოლოდ წარჩინებულ რაინდს ჰქონდა და ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მეფის თანხმობით, სპეციალურად დანიშნულ დროს. თუმცა მოწინააღმდეგეებს ეძლეოდათ გარკვეული პერიოდი, რათა კიდევ ერთხელ გადაეხედათ თავიანთი დაპირისპირების მიზეზებისათვის. ღუელის სამზადისი იყო თავისთავად ძალიან გახმაურებული. მოწინააღმდეგეები ცდილობდნენ, საზოგადოება დაერწმუნებინათ თავიანთ უდანაშაულობაში და, ასევე, დაეშინებინათ ერთმანეთი. ღუელი, ძირითადად, სიკვდილით მთავრდებოდა, თუ დამარცხებული არენაზე ცოცხალი დარჩებოდა, მას სიკვდილით სჯიდნენ.

ღუელის დაწყების წინ ჰეროლდი შეახსენებდა როგორც ღუელის მონაწილეებს, ასევე დამსწრე საზოგადოებას ღუელის წესებს, რომლის თანახმადაც, დამსწრეთაგან არავინ უნდა ყოფილიყო შეიარაღებული, ასევე აკრძალული იყო დამსწრეთათვის ცხენით შესვლა ღუელის ჩატარების ადგილზე. წესების დამრღვევები ისჯებოდნენ კანონის შესაბამისად.

ღუელის დაწყების წინ მოწინააღმდეგეებს კიდევ ერთხელ უნდა მიემართათ მეფისათვის ფიცით. ბრალმდებელი მეფის წინ დაიფიცებდა, რომ მის მოწინააღმდეგეს აქვს ჩადენილი დანაშაული, რის გამო ის იწვევს მას ღუელში, რომ ის დარწმუნებულია თავის სიმართლეში და ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის მეოხებით, ასევე დარწმუნებულია, რომ მოიპოვებს გამარჯვებას დამნაშავეზე. არენაზე გასვლის წინ ბრალმდებელი გადაუგდებდა ხელთათმანს თავის მოწინააღმდეგეს და როდესაც ის აიღებდა მას, ეს უკვე იმის ნიშანი იყო, რომ ის იღებდა გამოწვევას.

ღუელის დაწყებამდე სამღვდლო პირი მიმართავდა მონაწილეებს, უარი ეთქვათ თავიანთ გადაწყვეტილებაზე და შეახსენებდა მათ, როგორ ევნო უფალი კაცობრიობის ხსნისათვის, ასევე იმის შესახებ, რომ ღუელი თავისთავად იყო მომაკვდინებელი ცოდვა, ისევე როგორც თვითმკვლელობა. მოძღვრის რამდენიმე მცდელობის შემდეგ, თუ რაინდები არ მიიღებდნენ მის მოთხოვნას, მოძღვარი გაეცლებოდა საბრძოლო არენას.

რაინდის ყოველდღიური ცხოვრება

რაინდთა ბრძოლები, მათი ყოველდღიური ცხოვრება, სასიყვარულო და საგმირო თავგადასავალი აისახა შუა საუკუნეების როგორც საისტორიო მატრიანეებში, ასევე საგმირო ეპოსში. რაინდები ხშირად თხზავდნენ სიმღერებს, რომლებიც წარსულ დროებასა და გმირობებს ასახავდნენ. ამ სიმღერებიდან წარმოიშვა ისეთი მშვენიერი სარაინდო ეპოსები, როგორცაა ნიბელუნგების სიმღერა, ისტორიები პარცეფალისა, ლოენგრინისა და მრგვალი მაგიდის რაინდების შესახებ.

შუა საუკუნეების სარაინდო რომანი მეტად ღრმაა, თავისებური და მრავალფეროვანი. ვალტერ ფონ ფოგელვიდეს, კრეტიენ დე ტრუას, ჰაინრიხ ფონ ფელდეკეს, ჰერბერტ ფონ ფრიტცლარის, ჰარტმან ფონ აუეს, გოტფრიდ ფონ სტრასბურგის შემოქმედება რაინდული ყოფა-ცხოვრების ნათელ სურათს გვიხატავს. ამ ნაწარმოებებში ასახულია რაინდის დანიშნულება, მისი ბრძოლა ბოროტებს წინააღმდეგ.



Walther von der Vogelweide. Buchmaierei in der Manessischen Liederhandschrift (vgl. S. 156).

ვალტერ ფონ ფოგელვიდე, მინიატურა

რაინდი კარგი ოჯახიდან უნდა ყოფილიყო, ლამაზი, მოხდენილი, მიმზიდველი. მისი სილამაზეს ხაზს უსვამდა ტანსაცმელი. უნაგირიცა და აღჭურვილობაც ტანსაცმლის სადარი უნდა ჰქონოდა. აღჭურვილობა 60-დან 80 კილოგრამს იწონიდა, რაც მისი ძალის დამადასტურებელი იყო. ამ ძალას იგი ბავშვობიდანვე ავლენდა ჰერაკლესავით; მაგალითად, მეფე არტურმა სამჯერ ამოიღო ხმალი ლოდის ქვეშიდან, სხვამ კი ვერავინ შეძლო ეს. ერთ-ერთ უძველეს ლეგენდაში ბეოვულფზე, რომელიც 1000 წელს განეკუთვნება, საშინელ ურჩხულებთან საბრძოლველად ჩამოსული რაინდი ბოევულფი გადაყრის იარაღსა და ჯავშანს და ცარიელი ხელებით დაახრჩობს მდინარიდან

ამოსულ ურჩხულს. კრეტიენ დე ტრუას რომანის „ივეინ, რაინდი ლომით“ გმირი ივეინი მხოლოდ ერთი დღე რჩება თავის ახლადჯვარდაწერილ მეუღლესთან. მეგობრები თვალყურს ადევნებენ მას, რომ უსაქმურობასა და ცოლთან აღერსში ძალა არ დაკარგოს.

ცნობილი დომინიკანელი ბერი რაიმონდ ლული წიგნში რაინდული ორდენის შესახებ, სპეციალურად განმარტავს, რომ რაინდობა არის ღვაწლი და პატივი, რომელიც აუცილებელია დედამიწაზე არსებული წესრიგის დასაცავად. ასე რომ, რაინდი უნდა სარგებლობდეს ყველა პატივით. მისი წარმოდგენით, შეუბღალავი ღირსების მქონე რაინდი უყვართ იმისათვის, რომ ის კეთილია, ემინათ იმის გამო, რომ ის ძლიერია, ადიდებენ კეთილი საქმეებისათვის, ხოლო მას დახმარებისათვის მიმართავენ, რადგანაც ის არის ღვთის ერთგული და მისი ნების განმახორციელებელი.

1020 წელს შარტრის ეპისკოპოსმა ფულბერტმა რამდენიმე პუნქტად ჩამოაყალიბა რაინდის მოვალეობა თავისი სიუზერენის მიმართ, რომელშიც ერთ-ერთი მთავარ პუნქტი იყო, რომ რაინდმა „არ დაუშვას თავისი სიუზერენისადმი ფიზიკური ზიანის ცდა; აგრეთვე სიუზერენის ღირსების, ინტერესების და ქონების ხელყოფის განზრახვა, არ შეზღუდოს სიუზერენის თავისუფლება“.

მოწინააღმდეგის სისუსტეების გამოყენება ბრძოლის დროს ყველაზე დიდი დანაშაული იყო. როცა ორთაბრძოლაში დამარცხებული მოხუცი რაინდი აღმოჩნდებოდა, ახალგაზრდა არ კლავდა მას.

უიარაღო რაინდის მკვლელობა რაინდს სამარცხვინო საქციელად ეთვლებოდა, როცა გაცხარებული რაინდი ლანსელოტი ბრძოლის დროს შემთხვევით კლავს ორ უიარაღო მოწინააღმდეგეს, საშინელ განცდებშია და პილიგრიმობის (წმინდა მიწაზე მომლოცველად წასვლის) აღთქმას დებს. ასეთივა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული რაინდის ეს თვისება:

„ბრძენთა ვინმე მოსწავლემან საკითხავი ესე ვპოვნე:
ესეაო მამაცისა მეტის-მეტი სიგულოვნე;
ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნე;
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე“.

საინტერესოა გადმოცემა კრეტიენ დე ტრუას პარცეფალიდან, თუ როგორ უხსნის პარცეფალს თავისი მასწავლებელი რაინდის მოვალეობას: „კეთილო მეგობარო, როდესაც თქვენ მოგიწევთ ბრძოლა რაინდთან, განსოვდეთ ის, რასაც ახლა მე თქვენ გეტყვით: თუ თქვენ გაიმარჯვებთ და ის იძულებული გახდება, გთხოვთ თქვენ შეწყალება, არ მოკლათ, არამედ იყავით გულმოწყალე. ამავე დროს, ნუ იქნებით ყბედი და ძალიან ცნობისმოყვარე. ის, ვინც ბევრს ლაპარაკობს, სცოდავს, უფროთხილდით ამას. თუ თქვენ ნახავთ ქალს ან ახალგაზრდა გოგონას გაჭირვებაში, მე გთხოვთ – გააკეთეთ ყველაფერი, რაც კი შეგეძლებათ, რათა დაეხმაროთ მას. მე თქვენ მოგცემთ რჩევას, რომელიც თქვენ აუცილებლად უნდა დაიცვათ: ხშირად ესტუმრეთ მონასტერს და

ილოცეთ შემოქმედისათვის, რათა ის იყოს გულმოწყალე თქვენს მიმართ და დაგიცვათ თქვენ, როგორც ქრისტიანი.“

ჯერ კიდევ ორდენების დაარსებამდე, რაინდთა ფენა ცდილობდა განსაკუთრებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას: დახმარებოდნენ ერთმანეთს, ემოგზაურათ ან ებრძოლათ ერთად, საერთო მტრის წინააღმდეგ. რაინდები დებდნენ ერთმანეთთან მეგობრობის ფიცს, რასაც ახლდა გარკვეული ცერემონიალი. ისინი თავიანთ სისხლს ჩაასხამდნენ თასში, შეურევდნენ ერთმანეთს და იფიცებდნენ ერთგულებაზე. აგრეთვე, ან იარაღის გაცვლით, ან მსგავსი გერბების შექმნით გამოხატავდნენ დამეგობრების ცერემონიალს.

რაინდები დებდნენ საზეიმო აღთქმას, რომ მოილოცებდნენ წმინდა ადგილებს. რაინდების აღთქმა იყო მრავალფეროვანი და ხშირად უცნაურიც კი. მაგალითად, სანამ არ შეასრულებდა დადებულ აღთქმას, არ დაიძინებდა ლოგინში, საკვებს მიიღებდა მხოლოდ მარცხენა ხელით, არ დალევა ღვინოს, არ გაიხდიდა ტანსაცმელს, ან არ შეჭამდა ხორცს, არ აახელდა ცალ თვალს და ა. შ.

რაინდები დარწმუნებული იყვნენ, რომ რწმენა და წმინდა ნაწილები, რომელსაც ხშირად ატარებდნენ, ისევე იცავდა მათ, როგორც ფარი და ჯავშანი.



რაინდი, მინიატურა

თავისი ფიცის თანახმად, რაინდი მუდამ უნდა ყოფილიყო მზად სარწმუნეობისა და უმწეოთა დასაცავად. პატივი იყო რაინდისათვის სიკვდილი ისეთი მაღალი იდეალებისათვის, როგორც იყო სარწმუნოების და სამშობლოს დაცვა, ასევე სიკვდილი თავისი სენიორისათვის.

შუა საუკუნეების ევროპული რაინდული კოდექსის შესაბამისია „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვები ავთანდილის ანდერძიდან, რომელიც ყველაზე სრულყოფილად გამოხატავს რაინდის მოვალეობას:

„რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭველსა,
შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა,
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა,
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭველსა!
ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი,
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

რასაკვირველია, რაინდთა მოღვაწეობის მთავარი ასპარეზი ომი იყო, მაგრამ რაინდები მშვიდობიანობის პერიოდშიც პოულობდნენ სამუშაოს; ფიცის ერთგული რაინდები მოგზაურობდნენ, ეძებდნენ თავგადასავალს და ცდილობდნენ შებრძოლებოდნენ უსამართლობას. ამდენად, რაინდის წოდების მიღებისთანავე ისინი იწყებდნენ თავგადასავლის ძებნას შორეულ ქვეყნებში, რათა გამხდარიყვნენ სრულყოფილი რაინდები. მწვანე ფერი, რომელსაც ისინი ატარებდნენ, იყო იმედის სიმბოლო და მიმანიშნებელი მათ ახალგაზრდობისა და სიმამაცისა. ყველაზე სასარგებლო გაკვეთილები მოხეტიალე რაინდებისათვის იყო ომები, რომელშიც ისინი ებმებოდნენ ყოველგვარი სასყიდლის გარეშე, მოხალისეებად და ცდილობდნენ დაეჭირათ მხარი მართლისათვის. ისინი ასევე სწავლობდნენ წარჩინებულთა კარის ცერემონიალებს, წესებსა და ჩვეულებებს. თავის გამოჩენის სურვილით შეპყრობილნი, ცდილობდნენ დაახლოებოდნენ წარჩინებულებს, მათ მემკვიდრეებს, სურდათ გაეგოთ მათ შესახებ ამბები, ასევე თქმულებები და გადმოცემები, როგორც საგვარეულოების, ასევე ქვეყნებისა და ხალხების შესახებ, რათა უკან მობრუნებულეს მოეყოლათ.

გარდა იმისა, რომ რაინდები მონაწილეობდნენ ომებსა და ტურნირებში, ისინი ხშირად ერთიანდებოდნენ, რათა შეეჩერებინათ უსამართლობა და ძალადობა. ისინი მუდამ იყვნენ მზად დახმარებოდნენ გაჭირვებულებს და მფარველობა გაეწიათ სუსტებისათვის. მოხეტიალე რაინდები სხვადასხვა მხარეში რომელიმე წარჩინებულის სასახლეში ცხოვრობდნენ, მაგრამ თუ თავგადასვლის მაძიებელთ სადმე შემოაღამდებოდათ, ისინი რომელიმე გზაზე აღმართულ ჯვართან შეისვენებდნენ და იქვე ათენებდნენ ღამეს.

საბრძოლველად ან რომელიმე შორეულ მოგზაურობაში მიმავალ რაინდებს არ მიჰქონდათ არცერთი ნივთი, გარდა თავიანთი იარაღისა. მოგზაურობის დროს, ისინი, ძირითადად, ნანადირევით იკვებებოდნენ. ის რაინდები, რომლებიც მიემგზავრებოდნენ უცხო მხარეში, მტრის შეპყრობის მიზნით იყოფოდნენ რამდენიმე ჯგუფად 3-4 კაცის შემადგენლობით. ისინი ცვლიდნენ თავიანთ საგვარეულო გერბებს, ან კიდევ ფარზე გადაახვევდნენ ხოლმე ნაჭერს, რათა არ ეცნოთ. ასეთი მიზნით წასულ რაინდებს გარკვეული დრო ჰქონდათ განსაზღვრული, ისინი ერთი წლისა და ერთი დღის მანძილზე უნდა

დაბრუნებულიყვნენ უკან და, დადებული აღთქმისა და ფიცის თანახმად, მოეხსენებინათ თავიანთი საძმოსათვის თავიანთი მოგზაურობის შესახებ; ხშირად სწორედ ამ მოგზაური რაინდების მონათხრობის საფუძველზე იქმნებოდა შუა საუკუნეების სარაინლო რომანები და სიმღერები.

მოგზაურ რაინდებს დიდი პატივით ღებულობდნენ ციხე-კოშკებში, რომლებიც მათ გზაზე ხვდებოდათ. დაღლილ-დაქანცული რაინდებისათვის იქ ყველა პირობა იქმნებოდა, რათა დაესვენათ. ყველა ციხე-სიმაგრე მზად იყო, მიეღო რაინდი, როგორც კეთილსასურველი სტუმარი. ჩვეულებრივ, კოშკების თავზე გამოკიდებული იყო მოოქროვილი მუზარადი, რაც წარმოადგენდა ნიშანს მოგზაური რაინდებისათვის, რომ ისინი პატივით იქნებოდნენ მიღებული. როდესაც ციხე-კოშკიდან შენიშნავდნენ, რომ უცხო რაინდი მოემართებოდა მათკენ, სასახლეში აფრთხილებდნენ ყველას მოსალოდნელი საპატიო სტუმრის შესახებ და იქ მყოფნი გარეთ გამოეფინებოდნენ, რათა ამით გამოეხატათ თავიანთი სიხარული. სტუმრის პატივისცემის ნიშნად, სასახლის პატრონი იწვევდა სენიორებს ახლომდებარე სასახლეებიდან და იმართებოდა ნადიმი. ნადიმის დროს განსაკუთრებული ყურადღება იყო მიჰყვებოდა სტუმარი რაინდის მიმართ, რომელიც ყველგან თავის თავგადასავლისა და იმ განსაცდელის შესახებ, რომელიც მას გადახდა მოგზაურობის დროს. სასახლის პატრონი თავის სტუმარს მისივე პაჟების ხელით გადასცემდა სახსოვარ საჩუქარს. საჩუქარი ხშირად იყო ძვირფასი ნივთი, ან ცხენი, ან რაიმე საბრძოლო იარაღი. მსგავსი საჩუქრით მასპინძელი ფიქრობდა, რომ ის რაინდის კეთილშობილი მოღვაწეობის მონაწილე ხდებოდა. შესაძლებელია, მის ნაჩუქარ ცხენზე, ყოფილიყო ამხედრებული რაინდი, როდესაც იგი დაამარცხებდა მტერს, ან კიდევ სწორედაც მისი მახვილით განეგმირა ბოროტი, ან მოეპოვებინა გამარჯვება ტურნირში.

რამდენადაც დიდი იყო შუა საუკუნეების საზოგადოებაში რაინდისადმი პატივისცემა, ასევე მკაცრი იყო საზოგადოების დამოკიდებულება დამნაშავე რაინდის მიმართ. იგი სასტიკად ისჯებოდა და მისი გასამართლება ხდებოდა საჯაროდ, თვითონ რაინდთა სამსჯავროს მიერ. როდესაც რაინდი აღმოჩნდებოდა ბრალდებული ღალატში, ვერაგობაში ან სხვა რაიმე დანაშაულში, რომელიც ექვემდებარებოდა სასიკვდილო განაჩენს, ან გაძევებას, მაშინვე ჰეროლდები იწვევდნენ რაინდთა საბჭოს 20-30 კაცის შემადგენლობით და ის წაუყენებდა ბრალდებას რაინდს. რაინდთა ეს შეკრება განიხილავდა დანაშაულს და ასევე იწვევდა მოწმეებს.

ასეთი სასჯელის სისრულეში მოყვანა ხდებოდა საჯაროდ, მოედანზე, სადაც იდგა ეშაფოტი. როდესაც რაინდები გამოიტანდნენ თავიანთ სასჯელს, ჰეროლდი კითხულობდა განაჩენს. განაჩენის წაკითხვის შემდეგ მღვდელი იწყებდა მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი ფსალმუნების კითხვას. სასჯელის აღმსრულებელნი იწყებდნენ დამნაშავე რაინდისათვის იარაღის აყრას და თანაც ყოველი იარაღის და საჭურველის ჩამორთმევისას სახალხოდ აცხადებდნენ: ეს არის მახვილი, ეს არის მუზარადი ვერაგი და ცბიერი რაინდისა; და ბოლოს, რაინდის ფარს სამ ნაწილად გააპობდნენ.

რაინდის სიკვდილით დასჯის ცერემონიული იყო მეტად მძიმე და ხანგრძლივი პროცესი. რაინდის დამნაშავედ ცნობის შემდეგ მას გადასცემდნენ სამეფო სასამართლოს; ხოლო როდესაც სასამართლო მას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდა, შემდეგ – ჯალათს. როცა ეს პროცესი დასრულდებოდა, ჰეროლდი დამნაშავის შვილებსა და მემკვიდრეებს აცხდებდა უღირსებად და ართმევდა მათ წოდებას და იარაღის ტარების უფლებას. დამნაშავე რაინდის მემკვიდრეებს ასევე ეკრძალებოდათ ტურნირებში მონაწილეობა. სხვადასხვა დანაშაულებისათვის არსებობდა ასევე სხვადასხვა სახის სასჯელი – თვალების დათხრა, დასაჭურისება, ფარის გაკვრა სამარცხვინო ბოძზე, გერბზე დამაკნინებელი დაღის დასმა და ა. შ.

რაინდის ურთიერთობა ქალთან

რაინდობის ინსტიტუტის გაგებისათვის ისევე მნიშვნელოვანია რაინდის ქალთან დამოკიდებულების გაცნობა, როგორც რაინდის ეკლესიასთან და სამეფო კართა დამოკიდებულების შესწავლა. შეყვარებულად ყოფნა რაინდის აუცილებელი მოვალეობაც კი იყო, რისი მიმანიშნებელიცაა რაინდთა მთავარი ღვევიზიც – „ღმერთი, ქალი და მეფე.“

აღრე შუასაუკუნეებში, რაინდობის ჩამოყალიბებამდე, როგორც ჩანს, ქალის როლი საზოგადოებაში ნაკლები იყო. მიუხედავად ქრისტიანული ეკლესიის მცდელობისა, რომელმაც, წინა საზოგადოებისაგან განსხვავებით, ქალის ადგილი უფრო მნიშვნელოვანი გახადა, ისინი მამაკაცებთან მაინც არათანასწორ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ქალები, ძირითადად, საოჯახო საქმეებით იყვნენ დაკავებული. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქალისათვის, ხელსაქმესთან ერთად, განათლების მიღება. ქალები წარჩინებული ოჯახიდან სწავლობდნენ წერა-კითხვასა და საღვთო ლიტერატურას.

ქალისადმი პატივისცემა, რასაც განსაკუთრებით გამოხატავდა კეთილშობილთა საზოგადოება, ევროპაში ყველაზე ადრე ჩანს სამხრეთ საფრანგეთში, პროვანსში. პროვანსი იწოდებოდა რაინდობის აკვნად, რადგანაც აქ მიეცა მას ყველაზე მეტად საერო ხასიათი – სასიყვარულო თავდასავლებით. ერთ-ერთ პროვანსულ ნაწარმოებში ნათქვამია: რაინდებს აქვთ მრავალმხრივი ღირსება: ერთნი არიან კარგი მეზობლები, სხვები გამოირჩევიან სტუმართმოყვარეობითა და გულუხვობით; ერთნი თავყანს სცემენ ქალებს, სხვები ბრწყინავენ კოსტუმებითა და შეიარაღებით; ერთნი არიან მამაცნი სარაინდო შეჯიბრებებში, სხვები მომხიბვლელი არიან წარჩინებულთა კარზე.

პროვანსში ქალების მდგომარეობა განსხვავებული იყო ევროპის სხვა სამეფო-სამთავროებში არსებული მდგომარეობისაგან. პროვანსელ ქალებს უფრო მეტი უფლებები ჰქონდათ, ისინი იყვნენ მესაკუთრეები და განმკარგველები თავიანთი ქონებისა. მათ ადრე დაიკავეს მამაკაცებთან თანასწორი მდგომარეობა.

რაინდები ირჩევდნენ თავიანთი გულის ქალბატონს. გულის ქალბატონის არჩევის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არ იყო მისი გარეგნული

მიმზიდველობა, რაინდები უფრო მეტად ქალის წარმომავლობასა და მდგომარეობას აქცევდნენ ყურადღებას. რაინდები თავიანთი გულის რჩეულისაგან იღებდნენ სახსოვარ ნივთს, ეს შეიძლება ყოფილიყო მისი თავსაბურავი, საყელო, ან სახელო, დააკრავდნენ მას ფარს და დიდებისათვის მისი სახელით იბრძოდნენ. ხშირად რაინდების რჩეულები იყვნენ გათხოვილი ქალბატონები, რაც სრულებითაც არ უშლიდა ხელს მათ საჯაროდ განეცხადებინათ თავიანთი ტრფობა ასეთი ქალბატონების მიმართ. რაინდებიც, უმეტესად, დაქორწინებულები იყვნენ, მაგრამ ისინი თავიანთ რჩეულებად სხვა ქალბატონებს ასახელებდნენ. ქალისადმი ტრფობა რაინდებში, უმეტესად, არახორციელი სიყვარული იყო; შუა საუკუნეების ლიტერატურაში არის ისეთი სიუჟეტები, როდესაც რაინდი ეტრფის ქალს, რომელიც მას არასოდეს უნახავს, მხოლოდ გაუგონია მისი სილამაზის შესახებ. ერთ-ერთი ასეთია გადმოცემა რაინდის ჟოფრუა რუდელის შესახებ, რომელსაც შეუყვარდა ტრიპოლის დედოფალი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არასოდეს ენახა; მიუძღვნა რამდენიმე ბრწყინვალე სიმღერა და მისი ერთგული იყო 15 წელი, ხოლო შემდეგ გადაწყვიტა წასულიყო წმიდა მიწაზე, სადაც მდებარეობდა ქალაქი ტრიპოლი. გზაში იგი ავად გახდა და მისმა მეგობრებმა მიიყვანეს ერთ-ერთ ჰოსპიტალში. დედოფალმა გაიგო რა პოეტისა და რაინდის ეს თავგადასავალი, ის თვითონ ჩავიდა ჰოსპიტალში, რათა შეხვედროდა მასზე შეყვარებულ რაინდს. რაინდმა მის მკლავებში დალია სული. რაინდის დასაფლავების შემდეგ დედოფალი მონაზვნად აღიკვეცა ერთ-ერთ მონასტერში. ასეთი სიყვარული სანიმუშო იყო იმდროინდელი საზოგადოებისათვის. თუმცა ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც რაინდის „ქალისადმი თაყვანისცემა“ ატარებდა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. მაგრამ იდეა, რითაც რაინდი ქალთან იყო დაკავშირებული, ზნეობრივი და ამაღლებული განსჯათ, რაც რაინდის უხეშ ბუნებას მიმზიდველს ხდიდა.

ჯვაროსნული ლაშქრობანი, სარაინლო ორდენები

რაინდობის აღსასრული

ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც მიმართული იყო ურწმუნოთაგან ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად, უფრო მნიშვნელოვანს ხდიდა რაინდის როლსა და მოვალეობას. რაინდები, რომლებიც ლაშქრობების დაწყებამდეც მოგზაურობდნენ წმინდა მიწაზე მოსალოცად, ამჯერად ასეთ მოწოდებას პაპისაგან იღებენ, თანაც ჩადენილი ცოდვების მიტევების აღთქმით.

რაინდები დიდი ენთუზიაზმით მოემზადნენ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის, რადგანაც ურწმუნოებთან ბრძოლა მათ იდეალებს შეესატყვისებოდა, თანაც შორეული მოგზაურობა თავგადასავლის მაძიებელი რაინდებისთვის ძალიან მიმზიდველი იყო.

რადგანაც, მაიორატის წესის თანახმად, მემკვიდრეობას მხოლოდ უფროსი ვაჟი იღებდა, აღმოსავლეთში ლაშქრობა უმიწოდ დარჩენილი რაინდებისათვის სოციალურადაც მიმზიდველი იყო. რაინდები მზად იყვნენ ლაშქრობისათვის, სადაც მათ, გარდა სახელის და დიდების მოპოვებისა, სიმდიდრის მოპოვების შესაძლებლობაც ეძლეოდათ. ამდენად, როდესაც ურბან II მოწოდებაზე ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ, 1095 წელს, რაინდებმა ერთხმად უპასუხეს – „ღმერთს ასე სურს“, ამ სიტყვებით ისინი უკვე გახდნენ ღვთის ნების აღმსრულებელნი, ანუ ქრისტეს მხედრებად ჩაირიცხნენ.

რაინდები, ისე როგორც ეს შუა საუკუნეების საზოგადოების აზროვნებისათვის იყო დამახასიათებელი, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი თავიანთი თავგანწირვით ურწმუნოთაგან იერუსალიმის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში მოიპოვებდნენ როგორც ამქვეყნიურ დიდებას, ასევე დაიმკვიდრებდნენ სასუფეველს ზეცაში.



Kreuzritter im Heiligen Land. Buchmalerei aus dem 13. Jahrhundert (Bibliothèque Nationale, Paris).
Erkläre Aussehen und Ausrüstung der Ritter.

ჯვაროსნები წმინდა მიწაზე, XIII საუკუნის მინიატურა

რაინდები ლაშქრობაში გაემართნენ მტკიცე შემართებით, თუმცა ჯერ კიდევ მცირე აზიაში აღმოჩნდა, რომ მათ დიდი და მძიმე ბრძოლები ელოდათ. ჯვაროსნებმა პირველი ლაშქრობის დროს, თურქ-სელჩუკებისაგან გაათავისუფლეს ძველი ქრისტიანული ქალაქები: ანტიოქია, ედესა, ტრიპოლი და ბოლოს, 1099 წელს იერუსალიმს მიაღწენ. ამ დროიდან ლაშქრობა, ძირითადად, რაინდების ხელში გადავიდა, უბრალო ხალხი, რომელიც პირველ ლაშქრობაში მონაწილეობდა, უკვე არ ასრულებდა არავითარ როლს, მათი დიდი ნაწილი მცირე აზიაშივე დაიღუპა, ხოლო ნაწილი უკან დაბრუნდა. ყველაზე წარმატებული ჯვაროსანთა ლაშქრობებიდან პირველი ლაშქრობა აღმოჩნდა, როდესაც ჯვაროსნებმა გაათავისუფლეს აღმოსავლური ქრისტიანული ქალაქები და იერუსალიმი. ჯვაროსანთა ლაშქრობები თითქმის ორ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. მათ რვა ლაშქრობა მოაწყვეს აღმოსავლეთში, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს თავიანთ სასუკვარ მიზანს; დაკარგეს იერუსალიმი და სხვა ქალაქებიც.

მიუხედავად ამისა, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა მაინც დიდი გავლენა მოახდინეს ევროპის განვითარების გზაზე. ჯვაროსნული ლაშქრობების ხანაში

ერთმანეთს შეხვდა ორი კულტურა – აღმოსავლეთისა და დასავლეთის, რამაც ამ კულტურათა ურთიერთგაცვლის პროცესს შეუწყო ხელი, განვითარდა ვაჭრობა. აღმოსავლეთში დიდი ხნით ყოფნამ გააფართოვა დასავლეთში კოშკში გამოკეტილი რაინდის თვალთახედვა. რაინდები გაეცნენ აღმოსავლურ განათლებასა და აღმოსავლურ სამხედრო ხელოვნებას, შეხვდნენ თავიანთთვის სრულიად უცნობ სამყაროს. დასავლეთის რაინდებს არათუ ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ მუსლიმური სამყაროს შესახებ, არამედ თვით ბიზანტიურ კულტურასაც ასე პირდაპირ აქ შეხვდნენ. ქალაქმა კონსტანტინოპოლმა, თავისი სიმდიდრით, ფართო ქუჩებითა და დიდებული ტაძრებით, რასაკვირველია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთის რაინდებზე. მაგრამ არა მხოლოდ კონსტანტინოპოლსა და მუსლიმურ ქვეყნებში ნანახმა სიმდიდრემ და ფუფუნებამ იქონია გავლენა რაინდებზე, არამედ აღმოსავლურმა კულტურამ და განათლებამ, ამდენად, ჯვაროსნული ლაშქრობა მათთვის აღმოჩნდა განმანათლებელი მოგზაურობა, რამაც ბევრი რამ შეცვალა რაინდების წეს-ჩვეულებებში. აღმოსავლეთის გაცნობამ, სხვა ხალხებთან და კულტურასთან შეხვედრამ რაინდი უფრო ტოლერანტული გახადა. ჯვაროსანთა ლაშქრობის პერიოდში წინ წამოიწია პიროვნული ღირსების საკითხმა. ხშირად რაინდები ცდილობდნენ, სარწმუნოების სხვაობის მიუხედავად, პატივი ეცათ პიროვნული ღირსებებისათვის, რაც დასტურდება ჯვაროსნული ეპოქის ქრონიკებში მოცემული სხვადასხვა ცნობით.

ჯვაროსნულმა ომებმა ერთმანეთს გააცნო და დაახლოვა ორი სამყარო.

ევროპულ და აზიურ რაინდობას ისტორიული პირობების საშუალებით უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარების საშუალება მიეცა. როდესაც 1131 წელს გარდაიცვალა გრაფი ჟოსელინი, მასთან მებრძოლმა ემირ ჰაზი-იბნ-დანიშმენდმა შეწყვიტა ყველა საომარი მოქმედება და ფრანკებს შეუთვალა: „მე ვითანაგრძნობთ თქვენ, რაც უნდა იფიქროთ, მე არ ვიბრძოლებ ახლა თქვენს წინააღმდეგ, რადგანაც თქვენი მმართველის სიკვდილის გამო იოლად შემიძლია თქვენი დამარცხება. ამიტომ აირჩიეთ ახალი მმართველი და ჩვენ განვაგრძობთ ომს“.

1192 წელს, იაფესთან ბრძოლის დროს ინგლისის მეფეს რიჩარდ ლომგულს ცხენი მოუკლეს. მისმა მწინააღმდეგემ, საით-ად-დინმა, სახელგანთქმული სალაჰ-ად-დინის შვილმა, ორი ცხენი მიართვა მოქიშპეს. იმავე წელს რიჩარდ ლომგულმა რაინდად აკურთხა საით-ად-დინი. აღსანიშნავია, მუსლიმი რაინდის უსამა იბნ-მუნკიზის მემუარები (1095-1188 წწ.). მისი ცხოვრება ჯვაროსანთა ომებში მიიღია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას, პატივისცემით მოიხსენიოს მოწინააღმდეგეები, რომლებთანაც ის მეგობრობდა კიდევ.

ჯვაროსანთა ლაშქრობამ ხელი შეუწყო თვით ევროპელი რაინდების დაახლოებას. ძალიან ხშირად სხვადასხვა ქვეყნის რაინდებს ერთ კასტად მიაჩნდათ თავი, მათთვისაც მეორეხარისხოვანი იყო პოლიტიკური, ეთნიკური და ვასალური წარმომავლობა. XII-XIII საუკუნეების ევროპული რომანებისთვისაც დამახასიათებელია ეს მოვლენა (კრეტიენ დე ტრუა, გოტფრიდ ფონ

სტრასბურგი). ფეოდალები, რომელებიც, ძირითადად, თავისი მამულიდან და თავისი კოშკიდან ხედავდნენ სამყაროს, ახლა უფრო დაახლოვდნენ. ამ დაახლოებამ ჩამოაყალიბა მათში საერთო კანონები და ქცევის ნორმები. ამდენად, გაერთიანდა რაინდთა ფენა, სადაც უფრო წინ იდგა რაინდული იდეალები, ვიდრე მათი ნაციონალური მიკუთვნებულობა.

სარაინდო ორდენები

XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში იქმნება სამხედრო-ბერული ორდენები, რომლის წევრებიც ბერული ცხოვრების წესს სამოქალაქოს უთავსებდნენ. ჩვენამდე მოღწეული წყაროებით ვერ ხერხდება იმის გარკვევა, თუ რამ გამოიწვია ბერული ინსტიტუტის ტრანსფორმაცია სამხედრო ორდენებად.

ეს ორდენები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რაინდული იდეალების გავრცელებაში, წარმოიქმნენ ჯვაროსნული ლაშქრობების დროს.

უძველესი რაინდული ორდენი იყო „წმ. იოანეს ორდენი იერუსალიმში“. ეს იყო ერთადერთი ორდენი, რომელიც ბერ-მონაზვნური ორდენიდან აღმოცენდა. XI საუკუნის შუა ხანებში იგი დააარსა ამაღლიელმა ვაჭარმა, ბენედიქტიანური ორდენის წესდების შესაბამისად. ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ ბერ-მონაზვნებმა პილიგრიმთა, უპოვართა და ავადმყოფთა მოვლის მიზნით, შექმნეს ჰოსპიტალი. 1120 წელს ეს ორდენი რაიმონდ დუ პუის მეთაურობით გადაკეთდა წმ. იოანეს ჰოსპიტალის სარაინდო ორდენად. ორდენის მფარველი იყო იოანე ნათლისმცემელი. ორდენის წევრთა მოვალეობას წამოადგენდა ღარიბთა და ავადმყოფთა მოვლა, პილიგრიმებისა და მუსლიმთა მიერ დატყვევებულ ქრისტიანთა დახმარება. ჰოსპიტალიერთა ორდენი ნელ-ნელა უფრო სამხედრო ინტერესებს აყენებს წინ და მისი წესდებაც ამ მიმართულებით შეიცვალა. შეიცვალა მათი ჩაცმულობაც. თუ ადრე ჰოსპიტალიერები ატარებდნენ შავ მოსასხამს ზედ გამოსახული თეთრი ჯვრით, მოგვიანებით შავი მოსასხამის ქვეშ ისინი ატარებდნენ წითელ კაბას, თანაც ჯვარიც რვაკუთხა გახდა. ასევე, ძვირფასი ტანსაცმლის ტარების ადრინდელი აკრძალვა უკვე არ იყო მნიშვნელოვანი, მათ შეეძლოთ ძვირფასი ნაჭრისაგან დამზადებული ტანსაცმლის ტარება. ჰოსპიტალიერები ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე სენაკებში, არ იყო მარხვის ძალიან მკაცრი მოთხოვნა. ორდენმა მალევე დააგროვა დიდი სიმდიდრე, ისინი ფლობდნენ დიდ მიწებს, ტყეებს, ვენახებს და სასახლეებს. მათი რეზიდენცია მდებარეობდა იერუსალიმში, ქრისტეს საფლავთან ახლოს. ორდენს ჰქონდა აღმოსავლეთში, ტრიპოლის საგრაფოში მარგატის დიდი ციხე-სიმაგრე, ასევე დიდ მიწებს ფლობდა ანტიოქიასთან. ორდენს თავისი ფილიალები ჰქონდა საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში, არაგონსა და კასტილიაში.

ჯერ კიდევ ჯვაროსნული სახელმწიფოების სრულ დაკარგვამდე, იოანიტები გადასახლდნენ კუნძულ კვიპროსზე, მაგრამ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეუთავსებლობის გამო, მალევე გადავიდნენ კუნძულ როდოსზე, რომელიც იმ

პერიოდისათვის ბიზანტიას ეკუთვნოდა. პაპისა და საფრანგეთის მეფის დახმარებით, ორდენის გროსმაისტრის ძმამ ფულკო ვილარეტელმა 1309 წელს დაიპყრო კუნძული როდოსი.



იოანიტების რეზიდენცია კ. როდოსზე

კუნძული თითქმის 200 წელი ეპყრათ იოანიტებს. პირველი დიდი შეტევა მათ წინააღმდეგ სულთანმა მეჰმედ II განახორციელა, ხოლო 1522 წლის დეკემბერში, სულთანმა სულეიმან II საბოლოოდ დაიპყრო კუნძული როდოსი, იოანიტებმა 4000 რაინდის რაოდენობით 1523 წელს კუნძული დატოვეს. ისინი ჯერ კუნძულ კრეტაზე გადავიდნენ, შემდეგ ნაპოლში და ბოლოს – ჩივიტა ვეკიაში. 1530 წელს იმპერატორმა კარლ V როდოსიდან გამოდევნილ იოანიტებს გადასცა კუნძული მალტა, რის შემდეგაც ისინი მალტის ორდენად მოიხსენიებოდნენ. მალტის ორდენმა დაასრულა არსებობა, როდესაც ეგვიპტეში სალაშქროდ მიმავალმა ნაპოლეონ ბონაპარტემ იქ თავისი ჯარი შეიყვანა. უკანასკნელმა გროსმაისტერმა ფერდინანდ ფონ ჰომპეშმა, რომელიც ძალიან სუსტი მმართველი იყო, კავშირი დაამყარა რუსეთის იმპერატორ პავლე I-თან და მას გადასცა ორდენის გროსმაისტერის ტიტული, თუმცა რომის პაპმა ის არ დაამტკიცა. პავლე I-ის დაღუპვის შემდეგ მის მემკვიდრეს ალექსანდრე I-ს არ განუცხადებია პრეტენზია მალტის ორდენზე. შემდეგში ადგილობრივი რაინდებიდან ირჩევდნენ გროსმაისტერს, მაგრამ მათ მალე დაკარგეს ძველი მნიშვნელობა. 1834 წლიდან მალტის ორდენის რეზიდენცია ქალაქ რომში მდებარეობს.


ერთ-ერთი დიდი ორდენი, რომელიც ჩამოყალიბდა აღმოსავლეთში ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს, 1119 წელს, იყო ტამპლიერთა ორდენი. მისი სახელი მოდის იმ ადგილიდან, სადაც ცხოვრობდა დიდი მაგისტრი – კერძოდ, სოლომონის ტაძართან იერუსალიმში. ორდენის ჩამოყალიბების მიზანი იყო აკრიდან იერუსალიმისკენ მიმავალი პილიგრიმების დაცვა, რადგან იერუსალიმის სამეფოს სამხედრო ძალა არ ჰყოფნიდა გზებზე მშვიდობიანი გადაადგილების უზრუნველსაყოფად. ორდენის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ბურგუნდიელი რაინდის ჰუგო დე პენის სახელთან და მის შვიდ მეგობართან.

აღსანიშნავია, რომ ბერის მიერ იარაღის აღება და ბრძოლებში მონაწილეობა მიუღებელი იყო ქრისტიანობისათვის და წინააღმდეგობებს

იწვევდა. მიუხედავად დაპირისპირებისა, ტამპლიერებმა შეძლეს საეკლესიო ფუნქციებში მოეპოვებინათ მხარდაჭერა, რის შედეგადაც 1129 წელს ტრუას კრებაზე შედგენილ იქნა ორდენის წესდება, რომელიც პაპმა ჰონორიუს II-მ დაამტკიცა.



ტამპლიერთა ორდენის ბეჭედი



ტამპლიერთა ჯვარი

ორდენი შედგებოდა სამი ჯგუფისგან: 1) რაინდები – ორდენის სრულუფლებიანი წევრები, რომლებიც აუცილებლად დიდგვაროვანი წარმომავლობის უნდა ყოფილიყვნენ, 2) კლერიკალები, რომლებიც ღვთისმსახურებას ასრულებდნენ ორდენის ეკლესიებში, 3) მსახურები, რომლებიც უძღვებოდნენ ორდენის სამეურნეო საქმეს. ორდენს სათავეში ედგა მაგისტრი, რომელსაც რაინდთა წრიდან ირჩევდნენ. მისი რეზიდენცია იერუსალიმში იყო.

ტამპლიერები ატარებდნენ თეთრ მოსასხამს წითელი ჯვრით. ორდენში გაწევრიანების უფლება მხოლოდ თავისუფალ მოქალაქეებს ჰქონდათ, ამასთან, ისინი უნდა ყოფილიყვნენ კანონიერად შობილნი. ორდენში იღებდნენ ბავშვებსაც. ტამპლიერთა მონასტერში ცხოვრება ჩვეული სამონასტრო სახით მიმდინარეობდა. ტანსაცმელი ბერული არ იყო, მისი შერჩევას თავისუფლება ეძლეოდათ.



იერუსალიმის მეფე ბალდუინი გადასცემს ტაძარს ჰუგო დე პენს, მინიატურა

ტამპლიერების მოღვაწეობის სფერო არ იყო მხოლოდ წმინდა მიწა. პირველი ევროპული სახელმწიფო, სადაც მათ აქტიური ქმედებები დაიწყო, იყო ესპანეთი. 1143 წელს, ბარსელონის გრაფის მიწვევით, ტამპლიერები რეკონკისტაში* ჩაერთვნენ.

რაც შეეხება წმინდა მიწას, იერუსალიმის მეფის ძალაუფლების შემდეგ ტამპლიერები აქტიურ, დამოუკიდებელ საგარეო ომებს იწყებენ, ისინი უტყევენ ჩრდილოურ პროვინციებს, სამხრეთით დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებენ ეგვიპტესა და დამასკოსთან, მოგვიანებით მამლუქებთან ხელშეკრულებებსაც კი დებენ.

წმინდა მიწაზე ციხესიმაგრეთა უმრავლესობას ტამპლიერი და ჰოსპიტალიერი რაინდი ბერები იცავდნენ. მეთორმეტე საუკუნეში ამ სიმაგრეთა უმრავლესობა მდებარეობდა არა იერუსალიმის სამეფოში, არამედ ჩრდილოეთ სირიაში. ტამპლიერები არა მარტო მფლობელობაში იღებდნენ ციხეებს, არამედ აშენებდნენ ახლებს და ძველების რეორგანიზაციასაც ახდენდნენ.

მიუხედავად ბერ-რაინდთა მცირერიცხოვნებისა, ისინი გამოირჩეოდნენ მამაცობით, ორგანიზებულობითა და თავგანწირულობით. კარგად იცნობდნენ ადგილობრივ გარემოს, შესაბამისად, ყველაზე გამოცდილი და კარგი მეომრები იყვნენ წმინდა მიწაზე.

ტამპლიერებში დისციპლინა უმაღლეს დონეზე იყო, მორჩილების აღთქმა ყველაფრის შესრულების გარანტიას იძლეოდა, ჟაკ დე მოლე სწორედ ამ ფაქტორს მიიჩნევდა გადამწყვეტად და ამბობდა, რომ სწორედ ამის გამო ჩამოაყალიბდნენ ტამპლიერები ძლიერ რაინდებად. ტამპლიერებს დამრღვევთათვის გათვალისწინებული სასჯელები ჰქონდათ, ორდენიდან გაგდებით დაწყებული, გამათრახებით დამთავრებული.

სხვა ორდენებისგან განსხვავებით, ტამპლიერები ავადმყოფებზე არ ზრუნავდნენ. თუმცა ისინი ქველმოქმედებას ეწეოდნენ, ღარიბებს აძლევდნენ იმ პურის მეათედს, რომელიც ტამპლიერების მონასტრებში ცხვებოდა.

ორდენი ძალიან ბევრ ტერიტორიას ფლობდა, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში, რამაც განაპირობა ის, რომ მათ დიდი რაოდენობით თანხა ჰქონდათ. ორდენს შეეძლო ადგილიდან ადგილზე თანხა ძალიან მარტივად გადაეადგილებინა, მათ ბევრი დიდებული აძლევდა ფულს, რომელსაც სურდა თანხის გადატანა დასავლეთიდან აღმოსავლეთში ან პირიქით. შეიძლება ითქვას, რომ ტამპლიერები პირველი ბანკირები იყვნენ ევროპაში.

ტამპლიერების შემოსავლის ძირითად წყაროს შეწირულობები წარმოადგენდა, სწირავდნენ მეფეები, დიდგვაროვნები, ღარიბები, თუმცა შემოსავლის ნახევარზე მეტი წევრების შენახვაზე მიდიოდა.

1307 წელს, ფილიპე ლამაზის ბრძანებით, დაიწყო ტამპლიერთა დაპატიმრებები და გასამართლება, რომელიც დასრულდა 1311 წელს ორდენის გროსმაისტერის ჟაკ დე მოლეს კოცონზე დაწვით. აღსანიშნავია, რომ ტამპლიერთა ორდენის განადგურების მოტივი დღემდე უცნობია. არსებობს ვერსიები, რომ ფილიპეს ფული სჭირდებოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი

არანაირი ცნობა არ მოიპოვება, თან ტამპლიერთა ქონება პირდაპირ მეფეს არ გადაეცემოდა მემკვიდრეობით. ამ საკითხზე დავა დღემდე მიმდინარეობს.

ტამპლიერების ორდენი თვისობრივად ახალ საფეხურს წარმოადგენდა ევროპის ცხოვრებაში, მათ აღმოსავლეთში ქრისტიანობის დასაცავად დიდი როლი შეასრულეს და უკანასკნელებმა დატოვეს ეს ტერიტორიები. მათი განადგურების შემდეგ იქმნებოდა და დღემდე იქმნება ათასი ლეგენდა, რაც გამოწვეულია ორდენის ზღაპრული სიმდიდრითა და ძლევემოსილებით.



ჟაკ დე მოლეს კოცონზე დაწვა, მინიატურა

სასულირო ორდენტა შორის მნიშვნელოვანი იყო III ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, 1190 წელს დაარსებული ტევტონთა ორდენი. ის დააარსეს გერმანელმა რაინდებმა ციხე-სიმაგრე აკრაში, სადაც ორდენის წევრებმა დააფუძნეს საავადმყოფო დაჭრილთა და ავადმყოფთა მოვლისა და მკურნალობის მიზნით. ტევტონთა ორდენის დევიზი იყო „დახმარება, დაცვა და განკურნება.“

1196 წელს შედგა ორდენის დაარსების ცერემონიალი, რომელსაც დაესწრნენ ჰოსპიტალიერებისა და ტამპლიერთა ორდენების მაგისტრები. თავდაპირველად ტევტონთა ორდენი ჰოსპიტალიერთა ორდენის შემადგენლობაში ითვლებოდა. თუმცა, გერმანელი იმპერატორების აქტიური ჩარევით, ორდენმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. თავდაპირველად მასში 200-მდე რაინდი გაწევრიანდა და აირჩიეს მაგისტრი გერმანიის იმპერატორთან და პაპთან შეთანხმებით. პირველი მაგისტრი იყო ჰაინრიხ ფონ ვალპოტი. პაპმა ინოკენტი III 1199 წელს დაამტკიცა ორდენის წესდება. ორდენის მიზანი იყო ემკურნალათ ქრიატიანებისათვის და გაეგრძელებინათ ქრისტიანობა წარმართებში. სხვა ორდენებისაგან განსხვავებით, ორდენის წესდებით, მისი წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ გერმანელი და აუცილებლად მაღალი სოციალური ფენიდან. მათ ეცვათ თეთრი მოსასხამი, რომელზეც გამოსახული იყო შავი ლათინური ჯვარი.

მართალია, ტევტონები არ იყვნენ არც ისეთი ძლერები და არც ისეთი მდიდრები, როგორც ტამპლიერები, მაგრამ მათ III ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ გარკვეული სიმდიდრე დააგროვეს აღმოსავლეთში. ტევტონებმა ააშენეს ციხე- სიმაგრე მონფორტი. ორდენის წევრები სამ ძირითად ბერულ მოთხოვნას

– დაუქორწინებლობას, მორჩილებასა და სილატაკეს – უმატებდნენ შემდეგ მოთხოვნასაც: იბრძოლებდნენ წარმართების წინააღმდეგ და მოუვლიდნენ უპოვრებსა და ავადმყოფებს.



ტეკტონთა ციხე სიმაგრე აკრასთან

ტეკტონებს არ ჰქონდათ გამორჩეული შეიარაღება, თუმცა კარგად ფლობდნენ ომის წარმოების ხელოვნებას.

ტეკტონთა ორდენი განსაკუთრებით გაძლიერდა მაგისტრის ჰერმან ფონ ზალცას (1209-1239 წწ.) მმართველობის დროს. ორდენს მიწები ჰქონდა საქსონიაში, ფრანკონიაში, ბავარიაში, ჰესენში, ასევე ჰქონდათ ციხე-სიმაგრეები ვენასა და პრალაში. პირველად ტეკტონები აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ XIII საუკუნის დამდეგს, როდესაც უნგრეთის მეფემ მიიწვია ისინი პაჭანიკების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მალევე, როდესაც ორდენმა მოითხოვა განსაკუთრებული პირობები, უნგრეთის მეფემ ისინი თავისი ქვეყნიდან გამოაძევა.

მოგვიანებით, ტეკტონები მიიწვია პოლონეთის მეფემ პრუსების წინააღმდეგ საბრძოლველად. პოლონეთის მეფემ მისცა მათ უფლება, პრუსების დამარცხების შემდეგ დამკვიდრებულიყვნენ ამ მიწებზე. პრუსების დაპყრობილ ტერიტორიაზე ტეკტონები აგებდნენ ციხე-სიმაგრეებს. პრუსიაში ტეკტონთა ორდენი გადაიქცა ფეოდალურ სახელმწიფოდ.

XIV საუკუნის 60-80-იან წლებში ორდენმა დაიწყო ინტენსიური ბრძოლა ლიტვის წინააღმდეგ და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. 1403 წელს პაპმა ბონიფაციუს IX აუკრძალა მათ ქრისტიანული ქვეყნის – ლიტვის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ პერიოდში დინასტიური ქორწინების შედეგად გაერთიანდა პოლონეთისა და ლიტვის სამეფოები, რომლებიც ერთიანი ძალით გეგმავდნენ ტეკტონთა გაძევებას დაპყრობილი ტერიტორიებიდან. 1410 წელს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა გრიუნვალდთან. ტეკტონებმა წარმატებით დაიწყეს ბრძოლა, მაგრამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ორდენის მაგისტრის ულრიხ ფონ იუნგენის სიკვდილმა და ტეკტონები დამარცხდნენ.

1466 წელს ტეკტონები იძულებული გახდნენ, თავი პოლონეთის მეფის ვასალად გამოეცხადებინათ. შემდგომი დარტყმა ტეკტონებს პროტესტანტულმა რეფორმაციამ მიაყენა. ორდენის წევრებმა მიიღეს მარტინ ლუთერის მოწოდება,

ფიცი გაეტეხათ და დაქორწინებულყვენ. გროსმაისტერმა ალბერტ ფონ ჰოჰენცოლერნმა გატეხა ფიცი და აღიარა პროტესტანტიზმი. მან თავი პრუსიის მთავრად გამოაცხადა და რეალურად შექმნა თავისი სამფლობელო. ამან კი ტევტონთა ორდენი გაქრა.

გარდა სასულიერო სარაინდო ორდენებისა, არსებობდა რაინდების საერო ორდენები, სადაც ძირითადი ბერმონაზვნული მოთხოვნები – დაუქორწინებლობა, სიღარიბე და მორჩილება – არ იყო აუცილებელი პირობა. აქ მნიშვნელოვანი იყო რაინდის ისეთი მოვალეობების წინ წამოწევა, როგორც იყო ღვთისა და სამშობლოს ერთგულება და სამსახური, გაჭირვებულთა და დაჩაგრულთა დაცვა და სამართლიანობისთვის ბრძოლა. რასაკვირველია, ისე, როგორც ეს დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეებისათვის, ორდენების წესდება ქრისტიანული მორალის შესაბამისი იყო. თუმცა, როგორც ი. ჰაინიგა წერს, ქრისტიანული მორალისა და რაინდობის იდეალის გაერთიანება გარკვეულად მაინც განუხორციელებელი იდეა იყო, რადგან რაინდული იდეა – დიდებისათვის და პატივისათვის ბრძოლა – უფრო ამპარტავნობას შეესაბამებოდა, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ იდეოლოგიას.

პირველი სარაინდო ორდენები შეიქმნა ესპანეთში. უპირველესი ესპანური ორდენი იყო კალატრავა, რომელიც 1158 წელს დააარსა ფილეროს აბატმა რაიმონდმა და მისმა ბერმა დიეგო ველასკესმა. ორდენის პირველი გროსმაისტერი იყო ფილეროს აბატი. ორდენი ხელმძღვანელობდა ცისტერციანული ორდენის წესდებით. ისინი ატარებდნენ თეთრ მოსასხამს წითელი ჯვრით.

მეორე ესპანური ორდენიც ამავე დროს წარმოიშვა კასტილიაში. ეს იყო ალკანტარას ორდენი, რომელიც დააარსეს სალამანკელმა რაინდებმა სუერო და გომეს ფერნანდო ბარიენტოსებმა. ორდენის ძირითადი მიზანი იყო სარაცინების წინააღმდეგ ბრძოლა. ესპანურმა ორდენებმა უდიდესი როლი შეასრულეს ესპანურ რეკონკისტაში, პირენეიდან არაბების განდევნისათვის ბრძოლაში.

XIV და XV საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა მრავალი სარაინდო ორდენი, რომელთაც, მსგავსად კლასიკური შუა საუკუნეების ხანის სასულიერო სარაინდო ორდენებისა, მაღალი ეთიკური და პილიტიკური იდეალები ჰქონდათ, მაგრამ, ი. ჰაინიგას აზრით, ეს უფრო ოცნებები და ილუზია იყო.

გვიანი შუა საუკუნეების რაინდული ორდენების მიზანი იყო ახალი საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, რადგანაც ამ ორდენებში, უმეტესწილად, ნებადართული იყო საზოგადოების ყველა ფენის მონაწილეობა, მათ შორის, ვაჭრებისაც და უბრალო ადამიანებისაც. გვიანი შუა საუკუნეების ორდენებს ასევე ჰქონდათ გარკვეული პოლიტიკური და რელიგიური ამოცანები. ეს იყო ევროპის კონტინენტზე გადმოსული თურქების წინააღმდეგ ბრძოლა.

XIV საუკუნეში საფრანგეთის მეფეების მეთაურობით დაარსდა რამდენიმე სარაინდო ორდენი. ასევე იქმნებოდა ორდენები სამთავროებში.

რადგანაც XIV საუკუნიდან ორდენების შექმნა თითქმის მოღა გახდა, თვით მაღალი არისტოკრატიაც არ რჩებოდა გვერდზე. მარშალმა ბუსიკომ შექმნა

ორდენი კეთილშობილი სიყვარულისა და შვეიწროებულ ქალთა უფლებების დასაცავად, საფრანგეთის მეფე ჟანმა დააარსა ღვთისმშობლისა და კეთილშობილი ოჯახის რაინდთა ორდენი. ღაღან ამ უკანასკნელ ორდენს ემბლემად ჰქონდა ვარსკვლავი, მას ვარსკვლავის ორდენად იცნობდნენ. ერთ-ერთი ასეთი ცნობილი ორდენი შეიქმნა ბურგუნდიაში „ოქროს საწმისის“ სახელწოდებით. მისი დამაარსებელი იყო ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპ ბურგუნდიელი. ეს ორდენი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო იმ პერიოდის დასავლეთში, რისი მიზეზიც, უპირველესად, ალბათ, თვით ბურგუნდიის ეკონომიკური სიძლიერე იყო.

XIII საუკუნის ბოლოდან რაინდობა კარგავს მნიშვნელობას. ისინი თავიანთ იარაღს უკვე არ იყენებდნენ კეთილშობილური მიზნებისათვის, პირიქით, სხვის დასარბევად მიმართავდნენ. მათი სულისკვეთება კინდება და ილახება ღირსების გრძნობა, რომელიც ხშირად უაზრო ღუელების საბაბი ხდება.

XIV საუკუნეში რაინდობის იდეა თანდათანობით კარგავს თავის ცხოველყოფელ ხასიათს. რაინდობა სამეფო და სამთავრო კარის სათამაშო ფიგურებს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე რაიმე რეალურ ძალას. ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანამ ძველი მნიშვნელობა დააკარგვინა რაინდობას. სამხედრო ძალაში უკვე უპირატესობა ეძლევა არტილერიას.

რაინდობა დასრულდა რეფორმაციის ხანაში, როდესაც უფრო მნიშვნელოვანი გახდა ახალი სოციალური ფენა და სოფლებიდან და რაინდის კოშკებიდან კულტურულმა ცხოვრებამ ქალაქებში გადაინაცვლა. თუმცა რაინდულმა იდეალებმა და ტრადიციებმა ძალიან დიდხანს გაძლეს ევროპაში. ამის მაგალითები უხვად გვხვდება დასავლეთის, როგორც საერო ლიტერატურაში, ასევე საისტორიო მწერლობაში. ევროპის ახალი ისტორიის გარიჟრაჟზე კიდევ არსებობს რაინდული ტურნირები, რაინდის აღთქმა და ერთგულების ფიცი. XVI საუკუნეში ჯერ კიდევ ჩანს რაინდობის ძლიერი ფენა ტიუდორების ინგლისში. ინგლისის მეფე ჰენრი VII გატაცებული იყო ტურნირებით, ასეთივე გატაცებას ტურნირებით ვხვდებით გერმანიის იმპერატორის მაქსიმილიან I-ის ბიოგრაფიაში. მაგრამ რაინდობა, როგორც ჩანს, უკვე ფიქციად იქცა, რაც „ღონ კიხოტში“ შესანიშნავად ასახა ესპანელმა კლასიკოსმა სერვანტესმა.

სადაც რაინდობას არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ეს იყო კეთილშობილთა საგვარეულო ისტორია. საგვარეულოს რაინდული წარსული გვარის წინ წამოწევას უწყობდა ხელს. საგვარეულო ნიშნები და სიგელები, რასაკვირველია, უკვე ბრძოლის ველზე არ მოწმდებოდა, როგორც ეს იყო აუცილებელი ტურნირებში მონაწილეობის დროს, მაგრამ ის საზოგადოებაში დიდად ფასობდა.

მიუხედავად ამისა, არა მარტო შუა საუკუნეების ხალხების, არამედ დღევანდელიობისათვისაც, სანიშნოა რაინდთა ყოფა. ისინი ბარბაროსობისა და უხეშობის პერიოდში იძლეოდნენ თავაზიანობის მაგალითს და ხელს უწყობდნენ სათნოების დამკვიდრებას, კანონისა და მართლმსაჯულების გავრცელებას.

რაინდობამ დაამკვიდრა მრავალი ღირსეული წესი საზოგადოებრივი ურთიერთმიმართებისა, აამაღლა ქალი, რომელსაც შუა საუკუნეებში ნაკლები უფლებები ჰქონდა და მისცა მას კუთვნილი ადგილი დაუთმო საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

განმარტებითი ლექსიკონი *

აღრიანოპოლი – ახლანდელი ქ. ედირნე თურქეთში.

ამიანე მარცელინე – (მარცელინუსი) მოღვაწეობდა დაახ. 330-400 წლებში, რომაელი ისტორიკოსი, ტომით ბერძენი, წერდა ლათინურად. მონაწილეობდა სპარსეთისა და გერმანიის წინააღმდეგ ომებში (353-363 წწ.). დაწერა თხზულება „მომხდარ საქმეთა წიგნები“, რომელიც მოიცავს რომის ისტორიას 96-378 წლებში.

აქვიტანია – ისტორიული ოლქი სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. ძველად რომის პროვინცია, შუა საუკუნეებში – საჰერცოგო.

ბოჰემია – 1. ჩეხიის სახელმწიფოს თავდაპირველი სახელწოდება; 2. 1526-1918 წწ-ში ჰაბსბურგების გერმანულ იმპერიაში შემავალი ჩეხიის ოფიციალური სახელწოდება.

ვიურცბურგი – ქ. გერმანიაში, ბავარიის მხარეში, ნავსადგური მდ. მაინზე.

ინვესტიტურა – სენიორის მიერ ვასალის თანამდებობაზე დანიშვნის, წოდების მინიჭების იურიდიული აქტი, რომელსაც თან სდევდა ვასალის ერთგულების ფიცია.

იოსებ არიმათიელი – ქ. არიმათიის მდიდარი მოქალაქე, ქრისტეს ფარული მიმდევარი, ჯვრიდან მაცხოვრის გარდამოხსნის მონაწილე.

კეისარი – რომის იმპერატორის – ცეზარის ტიტულის ძვ. რუსული სახელწოდება (ბერძნულის გავლენით: კეისარის – მონარქი, მბრძანებელი).

კლუნიური მოძრაობა – კათოლიკური ეკლესიის გასაძლიერებლად განხორციელებული ცვლილებები X-XI საუკუნეებში. ამ მოძრაობას სათავეში ედგა კლუნის სააბატო ბურგუნდიაში (საფრანგეთი). მთავარი მოთხოვნები იყო – მკაცრი რეჟიმი მონასტრებში. მათი დამოუკიდებლობა საერო ხელისუფლებისაგან და ეპისკოპოსთაგან უშუალოდ პაპისადმი დაქვემდებარება და ა. შ.

ნიმევეენი – ქალაქი ახლანდელ ნიდერლანდებში.

ნორმანები – (სკანდ. „ჩრდილოეთის ადამიანი“), ამ სახელწოდებით იცნობდნენ დას. ევროპაში სკანდინავიის ხალხებს (მოლაშქრეებს) VIII-XI სს-ში. თვით სკანდინავიაში მათ ვიკინგებს, ხოლო რუსეთში – ვარიაგებს უწოდებდნენ.

ოტო I – (912-973 წწ.), გერმანიის მეფე და „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორი, ჰაინრიხ I-ის ძე.

ოტონები – (ძვ. გერმანული – „Otto“, „მფლობელი“, „მემამულე“) რამდენიმე მეფის, იმპერატორის, ჰერცოგის სახელი.

პომპეუსი – (გნეუს, ძვ. წ. 106-48 წწ.) რომაელი სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე.

რეკონკისტა – ესპანელთა მოძრაობა არაბთა (მაგრების) ბატონობისაგან გასათავისუფლებლად.

რომის იმპერატორი – (საღვთო რომის...) შუა საუკუნეების იმპერია, რომელიც 926 წელს დააარსა გერმანიის მეფე ოტო I-მა. მასში შედიოდა გერმანია, იტალიის ნაწილი, ჩეხია, ბურგუნდია, შვეიცარია და ა. შ.

სარაცინები – ანტიკურ ავტორებთან დასავლეთ და სამხრეთ არაბეთის მოსახლეობის სახელწოდება. ადრე შუა საუკუნეებიდან ამ სახელწოდებით მოიხსენიებდნენ ყველა არაბს, მოგვიანებით, განსაკუთრებით ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში, ეს ტერმინი გამოიყენებოდა ისლამის მიმდევარი ხალხების აღსანიშნავად.

შვიდი თავისუფალი ხელოვნება – სასწავლო დისციპლინები შუა საუკუნეების სკოლებისა და უნივერსიტეტების „არტისტულ“ (მოსამზადებელ) ფაკულტეტებზე (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა).

ხალიფატი – მუსლიმური, ფეოდალური თეოკრატიული სახელმწიფო (არაბეთის ნახევარკუნძულზე), რომლის სათავეში იდგა ხალიფა.

ჰაინრიხ ფრინველმჭერი – გერმანიის მეფე და „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორი ჰაინრიხ I (დაახლოებით 876-936 წწ.), ლიუდონფილგების გვარიდან, საქსონიური დინასტიის დამაარსებელი.

გამოყენებული ლიტერატურა დაწყაროები:

- გ. აკოფაშვილი რაინდობა საქართველოში, თბ., 1996
- შუა საუკუნეების სამართალი, შეადგინა და კომენტარები დაურთო პროფ. ი. ლოლიძემ, თბ., 1962, ტ. II
- Barber R. The Knight and Chivalry, Woodbridge, 2000
- Bumke J. Studium zum Ritterbegriff im 12. und 13. Jahrhundert, Heidelberg, 1977
- Chivalry in the Renaissance, edited by S. Anglo, Woodbridge, 1990
- Das Rittertum in Meittelalter. hrg. von A. Borst, Darmstadt, 1998
- Fleckenstein J. Rittertum und ritterliche Welt, Berlin, 2002
- Flori J. Chevaliers et chevalerie au Moyen Age, Pris, 1998
- Henne am Rhyn o. Geschichte des Rittertums Wiesbaden, 2003
- Keen M. Chivalry, London, 1985
- Le Goff J. Le civilization de L'Occident medieval, Paris, 1997
- Пастуро М. Повседневная жизнь Франции и Англии во времена рыцарей Круглого стола, М.
- Руа. История рыцарства, М., 2007